

მარიამ მარჯანიშვილი

ღერმენ
ქვები
ოუკუნი

ქარიაშ ქარჯანიშვილი

ეკუთხი
ქვები
ოუფელი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2021

წიგნის კუთხოვანი ნიუკოს - დაუდო თავისუფეროს,
ამაღლავი წილიზას განჩარტოვნია საოციანი ასასუკის
სამართლისადან წმინდობრი პოტენციალურ ნიუკოს განჩარტოვნის
შემთხვევაში ამსახური განვითარებს.

რედაქტორი:

პროფესორი როსტომ ჩხეიძე

რეცენზიანტები:

ხელოვნებათმცოდნების დოქტორი ნინო სანადირაძე

ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი
თამარა (თამთა) შავგულიძე,

მსატვარ-გრაფიკოსი: გიორგი ვართაგავა

ଓଡ଼ିଆ ଶାକଖରାଶ୍ଵିଲି

С მარიამ მარჯანიშვილი, 2021
С გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021

ISBN 978-9941-34-011-6

სარჩევი

დერჩიც – ჰალდეს გამოსხივებად	
(მეგზურად – მარიამ მარჯანიშვილი)	4
სულიერი სამყაროს გამორჩეული ხედვით დაჯილდოებული	6
დერჩის ქვების დაღადისი	11
შტრიხები პორტრეტისათვის	37
თითოეული ადამიანის ისტორია ეპოქის ისტორიაა	40
რიონის ნაპირებიდან შორეულ უზბეკეთამდე	42
Summary	44
ქანდაკებები	45

თურქული კულტურის
მეცნიერება

დერჩიკ - პალდეს გამოსხიუბად (ძეგლის ურთიად - ძალიად მარჯვანიშვილი)

პალდედ და პალდურის ხეობად გაასიმბოლოვებდა ოთარ ჩხეიძე საქართველოსა და მის უნიკალურ ქვებსა თუ თიხას, ჩვენი მოდგმის უშორესი ფესვებისაკენ რომ მიახედებდა „მეჩეჩისა“ და „ლანდების“ მეითხველს, ეს რომანები თიხის ოსტატთა თუ მოქანდაკეთა ბედისწერას რომ წარმოსახავდა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში.

აქეთ-იქით უნდა მიწყდომ-მოწყდომოდნენ გიგო გუნდიშვილიც და ფრიდონ გუნდიშვილიც, რათა შეენარჩუნებინათ მამა-პაპური ხელობაც და ხელოვნებაც და არ მოდრეკილიყვნენ საზარელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეჟიმის კიროებქვეშ.

დაე მოესმენინებინათ თვისტორიათვის პალდურის ხეობის იდუმალი სუნთქვაც, მისი ქვის სათუთი ხის ღაღადისიც.

მწერლისათვის მახლობელი იქნებოდა დერჩის ქვების ღაღადისიც, პალდეი მასაც გულისხმობდა, ეს ღაღადისი ყოფით რეალობაში ნოდარ ბანდელაძეს რომ უნდა ეგრძნო და კიდეც მოესმენინებინა ადამიანებისათვის, თუმც თვისტორიათვის – ვერა, მიწყდომ-მოწყდომისას უზბექეთში გადახვეწილს იქ უნდა ეპოვნა შესაფერისი პირობები თავისი ხელოვნების ამოსაფრქვევად, თავისი სწრაფვის ასახდენად, და დერჩის ქვებიც იქ ჩაეზიდა იმ თავგამოდებითა და შეუპოვრობით, ნამდვილ მოქანდაკეთ რომ სჩვევიათ, იმ ნამდვილთ, თავიანთ თავში მხატვრის გარდა უსათუოდ რომ ამთლიანებენ პოეტსაც, მუსიკოსსაც და ფილოსოფოსსაც, რათა სკულპტურა მეტყველი იყოს – არამც თუ დაიკარგოს მშობლიური ქვების ღაღადისი, არამედ გამბაფრდეს და გამკაფიოვდეს, და შორსა და შორს გადაწვდეს დროშიც, მხოლოდ სივრცეში კი არა.

მარიამ მარჯანიშვილი უცხოეთში მოღვაწე ქართველობას კვალში რომ ჩადგომია და გულმოდგინედ დაეძებს ახალსა და უცნობ მასალებს მათი ღვაწლის წარმოსაჩენად, ნოდარ ბანძელაძის ხელმისაწვდომობაზე უნდა დაინტერესებულიყო და თავისი ძიებანი ქანდაკების ისტორიის შესწავლითაც გაემდიდრებინა და გაემრავალფეროვნებინა, და მშვენიერი წიგნი-ალბომიც მოემზადებინა, გზამკვლევად მოქანდაკის ავტობიოგრაფიულ ნარკვევს რომ გაიხდიდა და... კიდევ ერთ დაკარგულ თვისტომს აღმოგვაჩენინებდა, უზბეკეთიდან ახლა აქეთ რომ გამოუძლვებოდა მისი ხელოვნების ნიმუშთა რეპროდუქციებს, თვითონ მოქანდაკე რომ ვეღარ დადგამდა ფეხს მშობლიურ მიწაზე – სწორედ გზად რომ უნდა შემოყროდა სიკვდილი.


მაგრამ დერჩის ქვებს ხომ დაგვიტოვებდა დადადისადაც და მარიამ მარჯანიშვილის საკვლევაძიებოდაც ასეთი გამოცდილი და სანდო მეგზურისა, თავის პერსონაჟთა კოლორიტულ გალერეას ნოდარ ბანძელაძესაც რომ შემატებდა და მიუჩენდა შესაფერის ადგილს ქართული კულტურის ისტორიაში მასაც და დერჩის ქვების თავგადასავალსაც.

როსტომ ჩხეიძე



ৱফলনিবেগুন

სულიერი სამყაროს გამოჩეული ხাজուთ დაჯილდოებული



Bandzeladze, Nodari, georg. Bildhauer, * 1937 Derči /Bez. Cchaltubo, lebt seit 1963 in Samarkand. Stud. in Tbilissi: 1952–57 Kunst-FS; 1957–63 AK. Verdienter Kunstschafter und Chamza-Staatspreisträger der Usbek. SSR. – Gestaltet Kleinplastiken mit figürl. Darst. aus dem usbek. Milieu und der Lit. sowie Portr. (*Bildhauer Džumadurdy und Aliev*) in Stein. MOSKAU, Tret'jakov-Gal. TAŠKENT, Mus. der bild. Künste.
 Mitt. des Künstlers (ArchAKL). Ch. R.

„**ბ**ანძელაძე, ნოდარი, ქართველი მოქანდაკე, დაბადებულია 1937 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩში, 1963 წლიდან ცხოვრობს სამარყანდში, 1952–57 წლებში სწავლობდა თბილისში ხელოვნების ინსტიტუტში, 1957–63 წლებში თბილის სამხატვრო აკადემიაში. უზბეკეთის სსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჰამზას სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ამზადებს მცირედ პლასტიკებს უზბეკეთის თემაზე და უზბ. ლიტერატურიდან, ასევე პორტრეტებს ქვაში (მოქანდაკები ზუმადურდი და ალიევი). ნაშრომები გამოფენილია მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, ხელოვნების მუზეუმში (წყარო: ხელოვანის პირადი ინფორმაცია).“

ასევა წარმოჩენილი ჩვენი თანამემამულე 1992 წელს ლაიფციგში გამოსულ „მხატვართა საერთაშორისო ლექსიკონის“ 572 გვერდზე.

ლიახ, „ყველა დიდი მხატვარი მეორეს იმით ჰგავს, რომ არავის არა ჰგავს, გარდა თავის თავისა. და, იმითაც, რომ თვითეული თავისებურად არღვევდა ძველ წესებს, კანონებს, ჰქმიდა ახალს, განუმეორებელს.“

ეს ჭეშმარიტება მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძის შემოქმედებითი კრედოც გახლდათ, რადგან იგი მდიდარი სულიერი სამყაროს გამორჩეული ხედვით ბავშვობიდანვე იყო დაჯილდოებული.

მისი დაბადების სამფლობელო სოფელი დერჩი გახლდათ...

გარშემორტყმული მთაგრეხილები კი – ხემლის მთა...

მინდვრად ნაპოვნი ქვა – იღბლის ქვა და ნატვრის თვალი...

საპირწონე ქვაზე ძლიერი გამომსახველობით შექმნილი პირველი ქანდაკება – შემოქმედებითი გზის დასაწყისი...

და, რაც მთავარია „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“... რომლის წყალობით მხატვრის მოლიანი და წრფელი სამყაროს წარმოჩენის ანაბანის შესწავლა ნოდარ ბანძელაძემ ჯერ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ისე განავითარა, როგორც უნდა განვითარებულიყო...

მხატვრის ნიჭის სპეციფიკით, მახვილი თვალით, ადამიანური, მხატვრული ღირებულებისა და აზროვნების ქანდაკებაში გაცოცხლებით ქართველ მოქანდაკეთა შემოქმედებით პალიტრაში ნაწრობობი ნოდარ ბანძელაძე მალე დამოუკიდებელ მოქანდაკედ ჩამოყალიბდა...

ბედის ირონიით ხელოვანმა მთელი ცხოვრება უცხო ერის სამსახურში გალია და ამიტომაც დარჩა უკვდავების ძეგლებად უზბექეთის მიწაზე მისი შემოქმედება.

ნოდარ ბანძელაძის შემოქმედებას მხოლოდ მშეგნიერების სამი პრინციპი – სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა ამოძრავებდა. მისი ყოველი ქანდაკება გადმოგვცემდა მოქმედებას, გრძნობებას, მოვლენებს...

ქართველი ხელოვანის ქვაში, თიხაში, სპილენძსა და ბრინჯაოში შესრულებული ათეულობით ნამუშევრის ფოტოები ჩვენი ოჯახის ბიბლიოთეკას მრავალი წელი ამშვენებდა.

...მე კი... ბავშვობიდანვე ბევრი, ძალიან ბევრი რამ მინდოდა გამეგო მასზე...

„ეძიებდე და ჰპოვებდე“, - რწმენით მაძლიერებდა ბიბლიის სიბრძნე.

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი“, - პოეტის სიტყვებს მკარნახობდა შინაგანი ხმა...

და, მერე და მერე... ჩემში ერთბაშად ამეტყველებულმა დერჩის ქვების დაღადისმა მოსვენება ისე დამიკარგა, რომ ნოდარ ბანძელაძის კვალს ვეძებდი დღისით თუ დამით, რეალობასა თუ ოცნებაში.

...ღვთის ნებით, მის ასავალ-დასავალს მივაგენი, მაგრამ...

ემიგრაციაში 37 წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ, სამშობლოსათვის ვალის დასაბრუნებლად ხელოვანი დარიალის ხეობით საქართველოში თურმე სამუდამოდ ბრუნდებოდა...

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე გოლგოთის გზით მოდიოდა თავის ჯვარცმისაკენ... საბედისწერო გზაჯვარედინზე, მოულოდნელად, სამზეო დატოვა... და, თავისი ჩირადლნებიც თან წაიღო...

„ემიგრაციაში მყოფ ქართველის ნაფიქრ-ნააზრევი არ უნდა დაიკარგოს. მომავალ თაობას ბეჭდვითი სახით უნდა შეუნახოთ. ვინ იცის რამდენი რამ გადაურჩებოდა ქართულ კულტურას, გახტანგ მეექვსეს ემიგრაციას, მოსკოვში უურნალ-გაზეთები რომ ჰქონდა.“

ამასთან ერთად „პიროვნება ისე ქრება, როგორც ქვიშაზე გადავლილი ქარის ნაკვალები, რჩება მხოლოდ შემოქმედება“.

... და, რადგან წინა კაცი მომდევნოს ლამპარია, ვერც მე შევძელი აქ დამესვა წერტილი, რამეთუ „ხელოვნებას არა აქვს საზღვარი და, ამიტომაც იგი ყველა ხალხს ეკუთვნის...“


დღეიდან წიგნი-ალბომის გამოცემისთანავე, სამშობლოში შემოქმედებითად დაბრუნებული მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე, კვლავ ჩვენს გვერდით იქნება და იმ მარადისობის ბინადარიც გახდება, რომელსაც შემოქმედებითი უკვდავება ჰქვია სახელად.

თანადგომისათვის, აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო დავით ბანძელაძესა და მის ხელთ არსებული მამისეული არქივის მოწოდებისათვის მოქანდაკის ქალიშვილს ინა ბანძელაძეს.

წიგნი-ალბომი „დერჩის ქვების დაღადისი“ ქართული კულტურისათვის უნიკალურ მასალას იმითაც წარმოადგენს, რომ მან ჩვენი თანამემამულის მხატვრული შემოქმედების უშუალოდ გაცნობასთან ერთად ახლობელი გახადა შორეული უზბეკეთიც.

მარიამ მარჯანიშვილი,
ფილოლოგის დოქტორი.

ავტომატიკური
ნამუშევრი



Автобиографическая записка о герх сапутник
Заслуженного деятеля искусств УзССР
Лауреата 200-летия им.Хамзы УзССР
стен сегодня членов СССР
Бондзеладзе Нодара Андросевича.
Я родился 15.3.72 10 ноября Кумасский
район село Дерги. С 1944 г. я учился в
Дергинской средней школе, учился я
хорошо, но учебе, здорого ленился и не
результативно занимался. После
которому все же, от государственной банды
2010г, холода-Наша легма было испор-
ченанет врань, этой наследий усвоил.
15.5.1. Директор нашей средней школы,
романо Асатури Четров спортивные соре-
внования между селских школ. ~~Все~~
Соревнований участвовало ученики 3 трех
серений. ~~Чемпионат~~ Я выступил на

Сергей. Всегда сереброваные, эти винтумы на
беск. Вокруг спаэиона, расстояние не знаю
но надо было сделать 2 круга, вокруг спаэиона.
Моя спортивная форма: Майка одна, заспи-
штумы из сердца Благовещенска, с рез. Серебро
— было полна и имела 3 кг. как будто. А оут
изменял трусышки тоже. (манипуляции с ними)
и член оторвался. На

Наряду с ~~о~~ ^и уменьшением длины кабеля на несколько метров, но произошло некоторое уменьшение времени работы.

даное одесское правительство распихнуло в о. на
самоуправлении, начав переговоры.

и восстает Богомицкий

нанесенного приговора к нему виноваты и Бессон

Быстро замечено, означаю ~~ошиб.~~, и снято

Быстро засыпали, спали до 10-ти, но вспомнили, что синоптике назначено, да

на гербовнике - на бумаге - 1955

Digitized by srujanika@gmail.com

Digitized by srujanika@gmail.com

ლერჩის ქუბის ლაონადისი

მდიოთგანვე სოფელ დერჩის ლეჩხუმის მხარეში გამორჩეული ადგილი ეჭირა.იგი „ძლიდეალმართად“ მოიხსენიებოდა. ამ სოფლის მკვიდრი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი კი ამბობდა: „დერჩი მარგალიტის მძივია ლეჩხუმის მკერდზეო“.

სწორედ, ამ სოფლის სურათების აღწერით იწყებს თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვეგს მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე, რომელიც მდინარე რიონის სანაპიროზე, რაჭა-ლეჩხუმის გასაყართან, მთის კორტოხზე შეფენილ სოფელ დერჩში დაიბადა.

„Я родился в 1937 г 10 ноября в Цхалтубском районе села Дерчи.

С 1944 г. учился в Дерчской школе, учился хорошо, но мешала в этом врождения бронхиальная астма и еще Отечественная война, голод и холод. Наша мечта была мирное время и наесться в досыта.“

მის ბავშვობას თან ახლდა ტკბილ-მწარე დდეები. ბიჭს დაბადებიდანვე დაჟყვა სნეულება. ჯერ კიდევ პატარა განიცდიდა, დედა, რომ მუდმივად წუხდა. მაინც რა ხდებოდა ისეთი, საღამოობით დედა რომ ტიროდა? პატარა ნოდარს ხშირად ემართებოდა ასთმური შეტევები, რასაც ზედ ერთვოდა შიმშილი, სიცივე, უსახსრობა და მეორე მსოფლიო ომში წასული მამის უგზოუკვლოდ დაკარგვა...

ასაკით ერთმანეთს მიყოლებული ძმები მხარში უდგნენ დედას. პატარა ნოდარიც სკოლის შემდეგ, ყოველდღე, სამწყემსურში მიდიოდა და მთის ფერდობზე აძოვებდა ოჯახის ორიოდ ხარ-ძროხას...

„Наша селения богата разными, мягкими камнями...“

დროის მოსაკლავად თან დანა, ჩაქუჩი, ქლიბი და ხელით გაკეთებული საჭრისი მიჰქონდა, რომლებსაც დერჩის მიდამოებში ნაპოვნი ქვებიდან პატარა ზომის ფიგურების გამოსათლელად იყენებდა.

ხუთი-ექვსი წლისა უკეთ თავისუფლად კვეთდა ქვებზე სხვადასხვა ფიგურებს, ეს ბავშვური ნაშრომები მოასწავებდა, რომ სოფელში ნიჭიერი ყმაწვილი იზრდებოდა.

ნოდარ ბანძელაძე ყველაფერს ადგილად ითვისებდა. ბიჭის უნარი სკოლის პედაგოგებსაც არ გამოპარვიათ და ერთ დღეს იგი სკოლის დირექტორმა დავით ასათიანმა დაიბარა და ცნობილი სკულპტორის კოტე მერაბიშვილის მიერ გამოქანდაკებული „შოთა რუსთაველის“ პორტრეტის სურათი გადასცა:

- შეგიძლია, ასეთი ფიგურა შენც გააკეთო?!

ბიჭმა, - ვეცდებიო, - მოკრძალებით წარმოთქვა...“

მეორე დღეს ნოდარი ქვის მოსაპოვებლად სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით წავიდა და უკან 20 კილოგრამიანი ქვის ლოდით დაბრუნდა...

ეს გახდა მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი... და, რა იცოდა, რომ მალე იგი სამსატვრო აკადემიაში კოტე მერაბიშვილის კლასში ჩაირიცხებოდა და დერჩის ქვები გახდებოდა მისი წარმატების საწინდარი.

ნოდარ ბანძელაძისათვის ახალი და საინტერესო სამყარო გაიხსნა. სკოლის დირექტორმა მისი შოთა რუსთაველის ქანდაკება თბილისში ცნობილ მხატვრებს უჩვენა და მათაც აღიარეს ყმაწვილის ნიჭი... და, აქედანვე განისაზღვრა ახალგაზრდის მომავალიც...

ომი დამთავრდა. ამბოროსი ბანძელაძის ქვრივი და მისი ობლები შეურიგდნენ თავიანთ სეუბედს... გამარჯვების წელიც იწურებოდა, როცა სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭები ეზოში სამხედრო მუნდირიანი ჯარისკაცი დახვდა. ნოდარს მამა სიზმრად ახსოვდა... ასე ვერ შეიცნო იგი მამამაც...

„— ვინა ხარ შენ?! - ჰეითხა ჯარისკაცმა.

— ნოდარი, — იყო ბიჭის პასუხი...“

ატიორებულმა მამამ გულში ჩაიკრა, ბიჭმაც შინაგანად შეიცნო იგი. შინდაბრუნებული უფროსი ძმები იმ დროს თურმე მჭადს აკეთებდნენ. მათ გარეთ ატეხილ ხმაურსა და მამის დანახვით სიხარულისაგან დაბნეულებს მოზელილი ცომი კეცის მაგიერ იატაქზე დაუბერტყებიათ. სოფელმა მალე შეიტყო ბანძელაძეების ბედნიერების ამბავი და დიდიან-პატარიანად მათ ეზო-კარს მოაწყდნენ.

ქუთაისში ბაზრობიდან შინ დაბრუნებულ დედას კი მის ეზოგარემოში ხალხის სიმრავლისაგან მუხლები მოკვეთია და ასჯერ გამოტირებული მეუღლის დანახვაზე გრძნობაც კი დაუკარგავს...

ჯარისკაცის დაბრუნებით ოჯახი მალე ფეხზე დადგა.

1952 წელს ნოდარ ბანძელაძემ დერჩის საშუალო სკოლის რვა კლასი დამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად თბილის მიაშურა.

„დედაქალაქში მატარებლით ჩავედი. სადგურზე ჩვენი ახლობელი დეიდა ნათელა დამხვდა. ორთავენი მაშინვე სამსატვრო სასწავლებელში გავეშურეთ, რათა საბუთები დროულად შეგვეტანა. ორი დღის შემდეგ გამოცდებიც დაიწყო.

დილით, დეიდა ნათელამ ერთი მანეთი მომცა და დამარიგა: „ჩვენ ყველანი სამსახურებში მივდივართ, ბავშვები კი — სკოლაში. ამიტომ გამოცდაზე მარტოს მოგიწევს წასვლა. იმედია, სასწავლებელს ადგილად მიაგნებ...“

რეინიგზის სადგურამდე ტრამვაით მშვიდად ვიმგზავრე. როცა სადგურში ჩამოვედი ხალხის სიმრავლემ თავგზა ამიბნია, ვერაფრით ვერ მივაგენი სასწავლებლისკენ მიმავალ გზას. პირველად დავინახე ბევრი ავტომანქანა და საჭადრაკო დაფის კუ-

ბიკებივით აჭრელებული ტაქსი. მანე თიანი, რომელიც დღევანდელ 10 კაბიკს უდრის ტაქსით სამგზავროდ არ მეყოფოდა. შეგწუხდი, უკვე 10 საათი დაიწყო და გამოცდაზეც ვიგვიანებდი.

ბოლოს მოვიკრიბე ძალები და ერთ-ერთ ტაქსის მძღოლთან თხოვნით მივედი:

— ფული არა მაქს, რომ გადაგიხადოთ. არადა, გამოცდაზე ვიგვიანებ... შეგიძლიათ ისე წამიყვანოთ?!

— დაჯექი, მეგობარო, უფულოდ წაგიყვანო! - მითხრა.

ამ კეთილმა ადამიანმა სასწავლებლის კარებთან მიმიყვანა. მოუხმო დარაჯს და აუხსნა გამოცდაზე დაგვიანების მიზეზი, თან სთხოვა კაცურად დამხმარებოდა. მოუცმა დარაჯმა „საბრალო ბიჭი“-ო, — ჩაილაპარაკა და სასწავლებლის დირექტორს კოტე კიკნაძეს მიმართა და ასე დამიშვეს გამოცდაზე“. (4-5 გვ.)

ნოდარ ბანძელაძე ო. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა, სადაც ისტორიულ გადმოცემა-თქმულებათა ეპიკური ხატოვნებიდან მომდინარე ნიკოლაძისეულ ეროვნულ სამხატვრო ხელოვნების სკოლის ტრადიციებს დაეუფლა.

„მე და ნოდარმა ნიკოლაძის სასწავლებლიდან მოყოლებული და სამხატვრო აკადემიით დამთავრებული მთელი სტუდენტობა ერთად გავატარეთ...“

მას დიდი „პატრონი“ ჰყავდა...

ეს იყო ნიჭი, თვითნაბადი ნიჭი, რომელმაც სოფლიდან ჩამოსულ ყმაწვილს ყველა წინააღმდეგობა გადაალახებინა, — გაიხსენა მისმა თანაკურსელმა სამხატვრო კავშირის წევრმა, მოქანდაკე გივი ლელაშვილმა და პირადი არქივიდან სტუდენტობის დროინდები ფოტოები გადმოგვცა.


გივი ლელაშვილის შეფასების ქონსტატაციაა, ერთ-ერთი ეპიზოდი ნოდარ ბანძელაძის აგტობიოგრაფიული ნარკევებიდან: „გამოცდაზე დამიშვეს. ურუშაძე მექითხება: „სად არის შენი აკვარელი და საღებავი?“ დაბნეულმა ვუპასუხე: „არ ვიცოდი თუ საჭირო იყო“... ჩემი პასუხის შემდეგ ახალგაზრდებს მიმართა: „ვის გაქვთ საშუალება, მას აკვარელი და საღებავი უწილადოთო“...



თუმა ნიკუ ახმი სამხატვროში. ფერწერისა და ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტების ერთობის სახე. სამხატვრო კურსების დროს უძვირად მოისახებოდნენ. სამხატვრო მუსიკის სახელი მარტინ ბოდო ბერძენიშვილი. უცნობი კურსები - სამხატვრო სახელი.



გური რეკასტური და ნოვან ჭავჭავაძე



ახალგაზინდა მუჯახიდური ნოვან ჭავჭავაძე

ასე რომ, ჩემს ცხოვრებაში გამოცდის დროს პირველად შევეხე ფუნჯს, აკვარელსა და საღებავს.

პირველ გამოცდაზე ნატურიდან დავხეატე.“ (გვ.6).

მეორე და შემდგომი გამოცდა იყო ფერწერა, ნახატი, რომელშიც ასევე მაღალი შეფასებები დავიმსახურე, ხოლო ბოლო ნამუშევარი კი გახლდათ მიქელანჯელოს თვალის გამოძერწვა. ესეც ხუთიანით შემიფასეს.“

სამხატვრო სასწავლებელში ჩემთვის პირველ და მეორე კურსზე სწავლა ძნელი იყო, რადგან პირველად მიხდებოდა ფერწერის, აკვარელისა და სკულპტურის ტექნიკის დაუფლება. მესამე–მეოთხე და მეხუთე კურსიდან ხელოვნების ყველა საიდუმლოების დაუფლებით სწავლა უფრო გამიაღვილდა და მალე ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიანტიც გავხდი.

სასწავლებელში ჩემი სადიპლომო ნაშრომი გახლდათ „წყურვილი“.

თანამედროვე ქართული ქანდაკების ისტორია თვალსაჩინო მოქანდაკეების ი. ნიკოლაძისა და ნ. კანდელაკის შემოქმედებით იწყება. ქართული ქანდაკების განვითარების ორი ძირითადი ხაზი, რომლებიც ეფუძნებიან პლასტიკის ნ. კანდელაკისეულ კონსტრუქციულ განზოგადებასა და ი. ნიკოლაძისეულ იმპრესიონისტულ ძერწვას, ეროვნული სკულპტურული სკოლის მთლიან მოვლენად ერთი მასაზრდოებელი წყაროს – მონუმენტურობის გრძნობის მეშვეობით სინთეზირდება.

1957 წელს ნოღარ ბანდელაძე სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. იმ დროს თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფესორების კანდელაკის, თოფურიძისა და მერაბიშვილის

კლასები ფუნქციონირებდა. აკადემიაში მან კოტე მერაბიშვილის კლასი აირჩია, სადაც დაეუფლა ქანდაკებაში თვითგამოხატვის სისრულეს, მხატვრის მთლიან და წრფელი სამყაროს წარმოჩენას, მონუმენტურ და მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებას, რაც თავისთავად დამოკიდებული იყო მოქანდაკის ნიჭიერი, ორიენტაციაზე, ცხოვრებისეულ და მხატვრული იდეალების ჩამოყალიბება-სრულყოფაზე.

ნოდარ ბანძელაძემ სამხატვრო აკადემია მერაბიშვილის ხელმძღვანელობით 1963 წელს დაამთავრა. მისმა სადიპლომო ქანდაკებამ „ცხენბურთი“ კომპოზიციურ გადაწყვეტათა მოულოდნელობით, ორიგინალური სახეობრივ-ემოციური და მოცულობით-სივრცითი სამყაროს შექმნით მაღალი შეფასება დაიმსახურა.

„ჩვენ დროს სადიპლომო ნაშრომის დაცვა მოსკოვიდან მოწვეული კომისიის თავ-მჯდომარის ხელმძღვანელობით ტარდებოდა. ასე მოხდა ჩემს გამოცდაზეც. სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა და სტალინური პრემიის ლაურეატმა მანიზერმა ჩემი ნაშრომი უმაღლესი ნიშნით შეაფასა.

ქართულ პროფესიულ სახვითი ხელოვნების ვარსკვლავთა გვერდით დაოსტატება ნამდვილად დიდი სკოლა იყო ჰეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მოქანდაკისათვის. მეორე მხრივ, ძნელიც იყო ამ დიდ მნათობთა გვერდით დამოუკიდებელი, საკუთარი ნათებით აელგარებაც.

აკადემიის პროფესორები არამარტო ხელოვნების საიდუმლოს უზიარებდნენ სტუდენტ-ახალგაზრდობას, არამედ მაღალი ზნეობისა და ღირსების საუკეთესო მაგალითებსაც უნერგავდნენ: „პროფესორი კოტე მერაბიშვილი ჩემთვის მარტო პედაგოგი როდი გახლდათ. 1962 წელს აკადემიამ სადიპლომო ნაშრომის თემად „ცხენბურთი“ დამიმტკიცა, რის გამოც სოხუმის ცხენსაშენში მიმავლინეს. აგარჩიე ცხენები და დავიწყე მათი ხატვა. დირექტორმა ცხენების მწვრთნელს ომარ ჭავაძეას მიმაბარა. მანაც ერთი ლამაზი ცხენი სახელად „სტრელა“ ამირჩია. თან მირჩია, რომ ჩემი რჩეული ცხენით შევსულიყავი წყალში, რათა ცხენს გამაგრებოდა ფეხები და მკერდი. უოკეიმ ბევრი საიდუმლოება გამანდო ცხოველის თვისებებსა და მოვლა-პატრონობაზე. ყოველივე ამან ხელი შემიწყო იმაში, რომ ჩემი ნაშრომი ფართო სპექტრით გამეაზრებია.

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისა და ცხენთა რემის მოვლისათვის გარკვეული



ე. გ. სარკინის მუშაობის ნაშრომი.

თანხა გამომიწერეს, რომლითაც ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიყიდე პალტო, პიჯაკი, 3 ცალი პერანგი და ფეხსაცმელები. როცა ახალ ტანსაცმელში გამოვეწყვე საკუთარი თავი სარკეში ვეღარ ვიცანი. მეორე დღეს, როცა ასე გამოწყობილი ქუჩაში გავედი, მეგონა, ყველა მე მიცქეროდა. რაც ძალზე მეუხერხულებოდა კიდეც.

აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ პროფესორ კოტე მერაბიშვილს ჩემზე მეტად ახარებდა ჩემი ახალი ტანსაცმელი. ეს ის დრო იყო, როცა პროფესორები და პედაგოგები თანხითაც კი ეხმარებოდნენ სტუდენტებს. მრცხვენია, დღევანდელი იმ პროფესორებისა და პედაგოგებისა, რომლებიც მათი კეთილდღეობისათვის სტუდენტებს რომ ატყავებენ“ (გვ.12-13).



ოქმურის ქუჩა

ნოდარ ბანძელაძის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში მრავალ საინტერესო პასაჟებს ამოიკითხავთ მისი განვლილი ცხოვრების შესახებ.

„სოხუმში ყოფნისას ჩემს მეგობარ მხატვარ თეიმურაზ ჟვანიას ოჯახში ვცხოვრობდი. ჩემ ერთად დავამთავრეთ ნიკოლაძის სახელობის სამსატვრო სასწავლებელი. აკადემიაშიც ერთ კურსზე ვსწავლობდით. იგი ფერწერას ეუფლებოდა, მე კი სკულპტურას. იმ დროს მამამისი თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი გახლდათ. იგი ყოველ დილით ორთავეს სახარჯო თანხას მაგიდაზე უსიტყვოდ გვიტოვებდა...“ (გვ.12).

შემოქმედებით გატაცებულ ჭაბუქებს ლამაზ მოგონებად დარჩათ აფხაზეთში ერთად გატარებული დღეები. მერე მათი გზები გაიყარა...

თეიმურაზ ჟვანია მშობლიური ქალაქის დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი გახდა. მისი გაფორმებულია 80-მდე სპექტაკლი.

„სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „ბერნარდა ალბას ოჯახი“ თავისი ნათელი და ლაქონური გადაწყვეტით, პოეტური, ამაღლებული ხასიათითა და შეკრული ანსამბლურობით, თეატრის ახალ შემოქმედებით გამარჯვებაზე მიგვანიშნებს“, - აღნიშნულია გიორგი ცქიტიშვილის წიგნში „ეკლიანი გზა ვარსკელავუბისაკენ“ (ცქიტიშვილი 1995:41-43).

აქვე, ავტორი ხაზგასმით აგრძელებს: „... სცენური გარემო, დეკორაციები, მასობრივი, ძლიერი, მეტყველი, პლასტიური მიზანსცენები, მათში გამოვლენილი ექსპრესია, უთუოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ სოხუმის თეატრის დადგმა, რუსთაველის თეატრის ლეგენდარული სპექტაკლის გამოძახილი იყო. თ. ჟვანიას მიერ შექმნილი ცადაზიდული სვანური კოშკების ტყე, სტილისტიკით, მანერით, მასშტაბურობით, მონუმენტურობით

და მხატვრული გადაწყვეტით, აშკარად ირაკლი გამრეკელის დეკორაციების შთამომა-
ვალი გახლდათ...

ფარდის ახდამდე, მაყურებელთა დარბაზში „მირანგულას“ ჰანგები იღვრებოდა.
შემდეგ კი, სვანეთის მთებივით ამაყი, გოროზი, ცადაზიდული კოშებისაგან შემდგარი
მონუმენტური დეკორაცია იტაცებდა თვალს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა.
არანაკლებ ეფექტური იყო პერსონაჟთა კოსტუმები, რომლებიც ასევე თ. უვანიას შექმ-
ნილი გახლდათ. ამ სამოსში, რომელიც ერთგვარ მოკლე, სტილიზებულ, დეკორატიულ
ჩოხას წარმოადგენდა, გამოწყობილი მამაკაცები თავადვე სვანური კოშეის ილუზიას
ქმნიდნენ“ (ცქიტიშვილი 1995:42).

შემოქმედებით წვაში თეიმურაზ უვანიას ნა. ავბედითმა გარემოებამ, როცა მშობლიური
კუთხიდან ძირძებელი ქართველობა აფხაზეთიდან
გამოდევნა, თეიმურაზ უვანიამ ცოლ-შვილი
მძიმე სიტუაციას განარიდა. თავად კი სოხუმში
დედასთან ერთად დარჩა, სადაც ტრაგიკულად
დაიღუპა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის შემო-
ქმედებით პალიტრაში ნაწრთობი ნოდარ ბან-
ძელაძე კი მხატვრის ნიჭის სპეციფიკით, მახვილი
თვალით, ადამიანური, მხატვრული დირებულები-
სა და აზროვნების ქანდაკებაში გაცოცხლებით

მალე დამოუკიდებელ მოქანდაკედ ჩამოყალიბდა, მაგრამ, სამწუხაროთ, არა მის სამშ-
ობლოში, არამედ სხვა ქვეყანაში, სადაც უცნობი იყო მათი ბუნება, კულტურა, ეთნოსი,
ხალხის კონსტიტუციური აგებულება, ხასიათი, ტემპერამენტი, სულიერება...

საბჭოური დიქტატურა განაწილების მეთოდის გამოყენებით, „ნებაყოფლობით“
აგზავნიდა მაშინ ნიჭიერ სპეციალისტებს სხვადასხვა რესპუბლიკაში, რათა ისინი ათქვ-
ლეფილიყვნენ რიცხობრივად დიდ ერებში. ეს იყო პიროვნების არა თავისუფალი არჩევ-
ანი, არამედ იძულებითი ემიგრაცია, რაც განსაკუთრებით ქართველებივით მცირერიცხ-
ოვან ერის მიმართ შეფარგითი გენოციდი გახლდათ.

აი, ამ გზით აღმოჩნდა, 1963 წელს, თანაკურსელ ანზორ ჯიშიაშვილთან ერთად
იგი უცხოეთის ცის ქვეშ. „15 აგვისტოს დამით ჩავფრინდით მე და ანზორ ჯიშიაშვილი
ტაშენენტში. სასტუმროში თავისუფალი ნომერი არ აღმოჩნდა და ამიტომ საგონებელში
ჩავარდნილებმა ქუჩებში დავიწყეთ ხეტიალი. ბოლოს გადავძვერით ერთ-ერთ სამშენე-
ბლო ობიექტის ტერიტორიაზე. როცა დარაჯმა შეგვინაშა, ჩვენ აუხსენით, რომ ვიყავით
უზბეკეთში განაწილებული მოქანდაკეები და დილამდე გვინდოდა სადმე ცოტა წაგვეძ-



ნებაყოფლის მინისტრი და ასეთი წესის წევანდური

ინა. მოხუცმა ცემენტის იატაკზე დასაფენად მუყაოს სქელი ქაღალდები მოგვცა. ანზორ ჯიშიძიშვილმა შემომთავაზა: „ჯერ შენ დაიძინე ორი საათი და მერე მეო“. დავთანხმე. მზე კარგად ამოსული იყო, როცა გავიღვიძე. იგი თურმე მდარაჯობდა. გადმოცემით იცოდა, რომ შუა აზიაში ბევრი ქვეწარმავალი ბინადრობდა და შეეშინდა, რომ მათ ჩემთვის არ ევნოთ.

და, მაშინ ვიგრძენი, თუ რა იყო ნამდვილი მეგობარი. დილით მივადექით სამხატვრო ფონდს, სადაც დაგვხედა ულამაზესი ქალბატონი და მოგვცა მიმართვა სამარყანდში ჩვენი განაწილების შესახებ. ავტობუსით მგზავრობის შემდეგ სამარყანდშიც გვიან ჩასულებს დამის გათენების პრობლემები ისევ შეგვექმნა.

მაშინ, უზბექეთის საბჭოთა რესპუბლიკის აღმოსავლური კულტურის ძეგლებით ცხობილ უძველეს ქალაქ სამარყანდში ჩასული მოქანდაკეები სახვითი ხელოვნების დარგში პირველი ქართველები აღმოვჩნდით: „Так начался самостоятельный, трудный но радостный путь в большом творчестве.


Если бы я, работал в Грузии, это конечно было бы гораздо легче, потому что, знаешь свой край, свой народ, свои обычай, ритуалы, свою историю искусства, и историю народа.

А Узбекистан для меня совершенно неизвестный край. Пришлось начать знакомится с Узбекистаном, узбеками, их жизнью, национальной культурой, бытом, обычаями и изучением типажей.

Два года понадобилось мне чтобы освоить формы национальной культуры . А через десять лет, все искусствоведы писали единогласно и показывали на мои скульптуры, на мои работы и говорили: „Вот, от кого можно учиться, и знать что такое национальная скульптура“... (გვ.16-17)

ასე რომ, ნამდვილი მხატვარი ისტორიკოსიც უნდა იყო, პოეტიც, მუსიკოსიც, ფილოსოფოსიც, მეცნიერიც, მკვლევარიც...

და, როგორც დიდობ შენიშნავდა: „რატომ არის ანგიკურ მხატვართა ნაწარმოები ეს-ოდენ დიდებული? იმიტომ რომ ეს მხატვრები ფილოსოფიურ სკოლაში დაიარებიან“...



ათი წლის შემდეგ ნოდარ ბანძელაძის პირველმა კომპოზიციამ – „ბასმაჩების განადგურება“ – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს დაუთაშს ათქმევინა: „შემოქმედებითი სიმწიფის სრული დინამიურობით ამ ნაწარმოებმა დაამტკიცა და ნათელყო მისი ავტორის დიდი ტალანტი“.

1967 წელს მოქანდაკე ნ. ბანძელაძე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი გახდა. ყველა სახის სახვითი შემოქმედების იერარქიაში მაშინ წამყვანი როლი მონუმენტურ და მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებას ეკავა, რომელიც ყოველ რესპუბლიკაში კონკრეტული კანონზომიერებითა და ტრადიციებით ვითარდებოდა.

1985 წელს ტაშკენტის კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში საუკეთესო სკულპტურული პორტრეტის შექმნისათვის ნოდარ ბანძელაძეს პირველი პრემია მიანიჭეს. კონკურსში სულ 45 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. უიურიმ გამარჯვებულად ჩევნი თანამემამულის მიერ წარდგენილი თურქმენი შემოქმედის ჯუმა ჯუმადურდის ქანდაკება აღიარა.

უზბეკეთის საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა მოქანდაკეების ნოდარ ბანძელაძისა და ანზორ ჯიშიაშვილის ერთობლივ ნაშრომს „სამარადისო დიდება მეომრებს“, რომლის კომპლექსი 6 ჰექტარზე დაიდგა ბუხარის რაიონის დაბა კიზილში. მნახველს აღნებდა 7 მეტრი სიმაღლის შინბოუსვლების დედის მძლავრი, თვალშისაცემი სილუეტი. სკულპტურული ქმნილება გამოხატავდა მწუხარებითა და სიამაყით გამსჭვალული ქალის გმირულ სულისკვეთებას. ამ არქიტექტურულ-სკულპტურულ ანსამბლში დედის სახება აღამიანურ ჭირთა თმენისადმი აღვლენილი ჰიმნიც გახლდათ.

ამ კომპლექსში სულ სამი 7-მეტრიანი ქანდაკება იყო, რომელიც წითელ მაღლობზე იყო აღმართული.

1974 წელს გამოჩენილი უზბეკი მწერლის ჯუმა ბულბულის ათხმეტრიანი ქანდაკების გახსნას უზბეკეთის სსრ კომპარტიის პირველი მდივანი შარაფ რაშიდოვი დაესწორ. იგი იმდენად აღფრთოვანებულა ძეგლით, რომ მოუკითხავს მისი ავტორი: „ამ დროს მე ხალხის ნაკადთან ერთად შორიდან გუურებდი ჩემს ქმნილებას. ატყდა ჩოჩქოლი. უშიშროების თანამშრომლებმა ძლივს მიპოვეს. ხალხის ტალღაში გამატარეს და ცეკას მდივანთან წარმადგინეს. რაშიდოვმა კმაყოფილების ნიშნად ბეჭებზე ხელი დამარტყა და განაცხადა: „ამიერიდან, როცა მოხდება ასეთი დირსშესანიშნავი ძეგლების

СОЮЗ ХУДОЖНИКОВ СССР		СССР РАССОМЛАР СО	
<i>Бланделадзе</i>		<i>Бланделадзе</i>	
Фамилия	<i>Нодари</i>	Фамилияси	<i>Нодари</i>
Имя	<i>Лидиясовна</i>	Исми	<i>Лидибрахим</i>
Отчество		Отасининг исми	
Время вступления в Союз художников	<i>1967</i>	Рассомлар союзига кирган	<i>1967</i>
Секретарь правления Союза художников СССР	<i>[Signature]</i>	СССР рассомлар союзи правлениесининг секретари	<i>[Signature]</i>
М. П.		П. Ш.	

гаъбенса, დაიმახსოვრეთ, რომ ავტორი ყოფელთვის უნდა იყენეს დაპატიჟებული და იღებეს წინა პლანზე, რადგან ეს არის მათი გამარჯვება და დღესასწაული. ამის შემდეგ მისი რჩევით ხელოვნების მუშაკები და მათ შორის მეც, ყოველთვის მოწვეული ვიყავით ჩვენი ნამუშევრების გამოფენაზე“.

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ დიდი ნიჭი და პროფესიული ოსტატობა ჩააქსოვა ქალაქების ბუხარისა და სამარყანდის სასტუმროების ინტერიერების არქიტექტურულ და კომპლექსურ-მონუმენტურ გაფორმებაში, რომლებშიც ჩანდა არამარტო ხელოვანთა იშვიათი აღმაფრენა, არამედ ძველი ქართული ჭერდურობის ძვირფასი ტრადიციების შერწყმა შუა აზიის ხელოვნების უძველეს ოსტატთა გამოცდილებასთან.

1977 წელს 6. ბანძელაძეს სამ მოქანდაკესთან ერთად ბუხარის სასტუმროს კომპლექსის ინტერიერის გაფორმებისათვის პამზას პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ამასთან დაკავშირებით ნოდარ ბანძელაძე თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვეზში იუმორით გაჯერებულ ფაქტებს ოსტატურად ხატავს: „უზბეკეთის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შარაფ რაშიდოვს, როცა ჩვენი გაფორმებული სასტუმრო დაუთვალიერებია უკითხავს თურმე: - ვინ გააკეთა-ო?

რაიონის მდივანს მიუგია - ჩვენ გავაკეთეთ!

- როგორ თქვენ გააკეთეთ? მაშ, რატომ არის აქ, სამარყანდელ მოქანდაკეთა აფტოგრაფები აღნიშნულიონ?!“


- დიახ, ჩვენ ფული გადავუხადეთო...“

„1974 წ. Открытие гостиницы интурист в. г. Бухаре. В этой гостинице мы делали оформление фойе на одиннадцатом этаже - летнее кафе.

Внизу в фойе перед зрителем предстаёт барельеф из кованной меди „Куикари“ - это национальная азиатская игра (Козладрание). Кто первым принесёт козла - 9 метр горизонтально и 3 метра вертикально. Вторая композиция 3 метра (3x3) „Ковровищица“ выполнена сугубо узбекском стиле. „Павлин“, „Дракон“ на одиннадцатом этаже.

ბუხარიდან მობრუბებულ შარაფ რაშიდოვს სამარყანდში გამოვლისას მოუნდომებია სახელოსნოში მოქანდაკეთა ნახვა. „დიდი წვალებით მოგვაგნო ქალაქის მილიციის უფროსმა. ჩვენი სახელოსნო ძველი მეჩეთის უკან მდებარეობდა, რომელიც სასწრაფოდ სახელოსნომდე მოასფალტეს. ამ დროს ჩვენ ვმუშაობდით რვა მეტრი სიმაღლის ლე-







ნინის ქანდაკებაზე, რომელიც სახელოსნოში პორიზონტალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უშიშროების მუშაკები ცდილობდნენ ლენინის ქანდაკების წამოყენებას, მაგრამ სახელოსნოში ამხელა ძეგლის გამართვა ვერ მოხერხდა. საგონებელში ჩავარდნილებმა გამოსავლად ის ვნახეთ, რომ ნის მასალით მთელი მისი ტანი შევჭედეთ და მარტო ლენინის სამმეტრიანი თავი გამოვაჩინეთ.

ასე მოვაქციეთ ლენინის ფიგურა იატაკქვეშეთში, რათა შთაბეჭდილება შექმნადათ, რომ მხოლოდ მის სახეზე ვმუშაობდით.

სახელოსნოში ასევე სახელდახელოდ მოაწყვეს ჩემი პატარა ნამუშევრების გამოფენა. მეორე დღეს 21 საათსა და 10 წუთზე 30-კაციან ამალასთან ერთად გვესტურა ცეკას მდივანი. შარაფ რაშიდოვგმა მე და ჩემი თანამოსაქმეები შეგვაქო და განაცხადა: „თქვენი ნამუშევრების ანალოგი მთელ უზბეკეთში ჯერჯერობით არ მოინახებაო...“ (გვ. 16-17).

„იდგა 1981 წლის თებერვლის თვე. საბჭოთა საქართველო გასაბჭოების მესამოცე წლისთავს ზარ-ზეიმით აღნიშნავდა. დღესასწაულზე მოწვეული გახლდათ დიდ საბჭოთა ოჯახში შემაფალი 15 რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები.



ამ მარათონში ჩართული გახლდათ უზბეკეთის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შარაფ რაშიდოვ რაშიდოვიჩი მეუღლითა და თავისი ამალით.

დიდი ადლუმის შემდეგ რესპუბლიკების პირველი ხელმძღვანელები თავისი სურვილის მიხედვით ინდივიდუალურად განაწილდნენ დედაქალაქის დირშესანიშნავი ადგილების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა გასაცნობად.

შარაფ რაშიდოვმა ცნობილი ქართველი მოქანდაკის გიორგი შხვაცაბაიას შემოქმედების გაცნობა ისურვა და მოქანდაკეს შავგულიძის ქუჩის 3-ში მდებარე სახელოსნოში

ეწვია. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მიხეილ ჩიქოვანი თავის მეუღლესთან ქალბატონ ლიდიასთან ერთად.

შარაფ რაშიდოვი კარგად იცნობდა იმ ქართველ მოქანდაკეთა შემოქმედებას, რომლებიც 1963 წლიდან სამარყანდში მოღვაწეობდნენ. ბუნებრივია, აქ იგულისხმება ნოდარ ბანძელაძე და ანზორ ჯიშიაშვილი, რომელთა თაყვანისმცემელი გახლდათ რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელი. სტუმარი გიორგი შხვაცაბაიას შემოქმედების გაცნობამ იმდენად ადაფრთოვანა, რომ მასპინძელი მშობლიურ უზბეკეთში მიიწვია. ღრმად პატივისცემის ნიშნად თავად შემოქმედმა და პოეტმა შარაფ რაშიდოვმა მოქანდაკეს მისი ლექსების კრებული უსახსოვრა, ხოლო მის მეუღლეს ქალბატონ ნათელას კი უზბეკური ეროვნული სამოსი გადასცა. საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე სტუმარმა საპუთარი ლექსიც კი წაიკითხა.

ადსანიშნავია ისიც, რომ პირადმა დაცვამ მას ქართული ჩაიც კი დააგემოვნებია. მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიამ შორეული უზბეკეთიდან ჩამოსულ სტუმარს მეგობრობის ნიშნად ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი მეტრი სიმაღლის ქანდაკება უსახსოვრა.

დღეს, ეს ქანდაკება ტაშკენტის ლიტერატურისა და ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ამ შეხვედრის გვირგვინი გახლდათ მომდერალ გოგი დოლიძისა და „ქართული ხმების“ მიერ შესრულებული სიმღერები. იმ დღეს მოქანდაკის სახელოსნოში ორი ერის შემოქმედთა მიერ მეგობრობის ხიდები გაიღო.

ჭეშმარიტად აქვს ნათქვამი ბეთჟოვენს: „ნამდვილი ხელოვანი თავისუფალია პატივმოყვარეობისაგან. მას ძალიან კარგად ესმის, რომ ხელოვნება უსაზღვროა...“

იმ დღეს სტუმარ-მასპინძელთა შეხვედრისას აშკარად გამოიკვეთა, რომ თითოეულ მათგანს ხელოვნება უყვარდათ საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი - ხელოვნებაში.

ეს შეხვედრა ორივე შემოქმედის ცხოვრებაში ერთი უბრალო დეტალი როდი გახლდათ. იგი დღესაც ასაზრდოებს მოქანდაკის გიორგი შხვაცაბაიას გონებას, ხოლო უზბეკეთის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ნომერლატურის ტიპიურ სახეში გამოიკვეთა სულ სხვა ადამიანი, რომელიც დიდი რეგალიების მიუხედავად, როგორც პოეტი ხედავდა იმას რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ.

ასე გაისხენა წარსულის ერთი ლამაზი ეპიზოდი საქართველოს სახალხო მხატვარმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გიორგი შხვაცაბაიამ.

ყურადსალებია „სამარყანდელთა“ ჯგუფის მიერ სხვა მრავალი ერთობლივი ნამუშევრებიც. მათ შორისაა ტაშკენტის მეტროპოლიტენის ორი სადგურის: „50 წლის სსრკ-ს“ და „ჩერალოვის“ ინტერიერის მაღალ მხატვრულ დონეზე გაფორმება, სადაც სკულპტურის ბუნებრივ-პლას-



ჭეშმარიტა
შეხვედრის
სახლში



ვაჟა მუსუნბეგი და შარლ ლაპინი

ტიკური დირებულებით გამოირჩევა ქართველი მოქანდაკის მიერ სპილენძში შესრულებული ჭედური ნამუშევარი „ცხენების რემის გადარბენა“.

მონუმენტალისტმა ნოდარ ბანძელაძემ პირველად დაიწყო მცირე პლასტიკის ნამუშევრების შექმნა, რომლის შემოქმედება წარმოდგენილი იყო ევროპისა და აზიის ქვეყნების საგამოფენო სივრცეებში. მისი ხელოვნების ნიმუშები იაპონურ „ნეცკას“ მიამს-

გავსეს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. 1986 წელს ნოდარ ბანძელაძე შემოქმედებითი დაოსტატების მიზნით ორი თვე ლატვიის რესპუბლიკაში მიავლინეს. საკურორტო ქალაქ იურმალაში, საბჭოთა კავშირის სამხატვრო კავშირის წევრებისათვის გამოყოფილი იყო ბაზა. „აქ, უზრუნველი ვიყავით კვებით, დასვენებითა და შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო მასალით. ეს იყო უბრალოდ სამოთხე. ყოველ სახელოსნოში ორი ხელოვანი ვმუშაობდით. პირადად, თიხაზე მუშაობამ ძალიან გამიტაცა. ორი თვის განმავლობაში 15 მცირე პლასტიკის ნამუშევარი შევქმნი, რომლებმაც ბევრი სახელმწიფოს საგამოფენო დარბაზები მოიარა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ“ (გვ. 32-33).

ახლისაკენ მისწრაფება ადამიანის წარმოსახვის პირველი მოთხოვნილებაა. მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ საფუძველი ჩაუყარა უზბექური ეპოსის მცირე პლასტიკაში ასახვის ტრადიციას. მისი ნამუშევრები წარდგენილი იყო მსოფლიო გამოფენებზე ინგლისში, იაპონიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და მონგოლეთში.

„В Японии мои работы оценили так: „Это работы напоминают наш, японский „нецки“. Когда я узнал об этом, я очень обрадовался, - потому что, этим сравнением надо гордится. Японцы из моей мастерской купили 9 работ. Если бы возможность собрать все эти работы. Я стала бы обладателям уникальной коллекции, которые начитывают 400 работ скульптуры малых форм. Камни я брал из Грузии, там очень хорошие камни



мелкозернистые известняки. Когда его полируешь, получается как одноцветный малахит.”
 — Альбино Шнаубауэр та же из Аугсбурга говорит о том, что малахит — это малахит.


Михаил Бандзеладзе из Грузии говорит о том, что малахит — это малахит. Альбино Шнаубауэр из Аугсбурга говорит о том, что малахит — это малахит. Альбино Шнаубауэр из Аугсбурга говорит о том, что малахит — это малахит.

Всего 20 ящиков с малахитом было вывезено из Грузии в Аугсбург. Альбино Шнаубауэр из Аугсбурга говорит о том, что малахит — это малахит.

Альбино Шнаубауэр из Аугсбурга говорит о том, что малахит — это малахит.

Шота Руставели из Грузии говорит о том, что малахит — это малахит.

Михаил Бандзеладзе из Грузии говорит о том, что малахит — это малахит.



В мире прекрасного

ГЕРОИ СКУЛЬПТОРА БАНДЗЕЛАДЗЕ

Он взял с моего стола лист бумаги и огрызком карандаша стал что-то рисовать. Перечеркнул, взял второй лист. И, когда это повторилось несколько раз, я упрекнул его:

— Чего переворачиваете бумагу?

— Я ничего не переворачиваю — сказал он с легким грустным акцентом и стал напевать наизусть мелодию.

А однажды я его спросил, как он создает образы своих герояев. Нодар Бандзеладзе, молча взял с моего стола бумагу, сидел за столом и начал рисовать. Потом, второй, третий лист. Я отодвинул подальше стопку бумаги, он улыбнулся и сказал:

— Мне спросят, как я создаю образы. Вот так,

и он показал мне несколько нарисованных нарезанных листов.

Нодар Бандзеладзе родом из грузинского горного селения Дерви. Но, увидев однажды Самарканд, а это почти четверть века назад, он полюбил его и остался в нем.

Сейчас он живет в Самарканде, но его отец, художником он стал в Самарканде. Его имя широко известно в

республике, он лауреат премии Хамзы, его скульптуры

экспонировались на республиканских, союзных, зарубежных выставках.

Недавно Бандзеладзе вернулся из Дзержинского Дома творчества, где плодотворно прошла его двухмесячная командировка. Он привез много работ, выполненных в шашете. Чем же они отличаются от обычных?

Говорят, «Древние» профессии. Искусство, передавшееся из поколения в поколение. Сел потомственный мастер за голубичий круглucha. На скамью заладился. Песенку нам кусок глины. Сейчас закрутился чарх и этот бесформенный кусок через несколько минут станет тем, че-

му будут дышать люди. А может он возвьется и сномает чарх, может, сядет на него и начнет плясать. Все может быть. И долго еще будет крутиться чарх и радовать людей творением мастера.

Уткнувшись послушанный нами Насреддин тупо в книгу, а я спросил его: «Что же такое?». «Умница Айда-хвощенец!» Да громко так, чтобы все слышали, как он обучает читать и пишать. Услыхали бы и передали эмиру. И передали. Дибу дасен светлейший и приказал доставить «Ходжу» во дворец. Тут они и поспорили. В чем заключался спор? Да все в том, что в соревновании Насреддин одурачил эмира.

А вот другой сюжет, связанный с национальным героем Назаретином. «Назаретин в Самарканде». На них удивленные лица. «Бах! Бах!» — прозревают глаза на минареты, порталы и купола Регистана, а, может, на вереницы красавиц, сооруженные гробницами Гур-и-амина или усыпальницей Тимуридов. «Вот это красота!»

Да и сама думаете, что же это за красота? Погодите, не легкий художник взглядел на себя? Точно. Чтобы ишаку было легче. Таков, он, Насреддин афанди.

А этот старец — из серии «Асканс». Ваганянте на его скульптуре изображены в виде стариков, и, когда его до такого состояния. Он уже не в силах громко рассказывать хохоча — устал. Он уже держится за живот и, кучкой приоткрыл рот, хихикает — так удалась асканс!

Бандзеладзе свой почерк, свою манеру. От его работ всегда добром, добром. Он хорошо изучил наш край, знает его историю. Его герои — обыкновенные труженики и литературные персонажи.

В. МИРАКОВ.



На снимках: работы скульптора Н. Бандзеладзе.





დუმბაძის ცნობილი ნაწარმოების გმირებს ენაკვიმატ ილიკოსა და ილარიონს, ონავარ ზურიკელას, რომლის ეროვნული ხასიათის თავისებურებანი ასე კარგად გამოკვეთა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა „მზიურში“ დადგმულ მემორიალში.

თავისი ბუნებრივობითა და მოკრძალებულობით ხიბლავდა სამარყანდში ჩასულ ტურისტებს სკულპტურა „ნასრედინი ასწავლის ვირს კითხვას“.

მცირე პლასტიკაში მუშაობისას მიღებულმა გამოცდილებამ განსაზღვრა მისი შემოქმედებითი გზის სიახლე, ორიგინალობა და საკუთარი ხელწერა.

„После длительного перерыва, я возобновил работу над скульптурой малых форм. Скульптура малых форм, тогда в СССР не так было развита: - Его сравнивают некоторые искусствоведы, с декоративно прикладным искусством. Но я думаю, что наоборот, -

декоративно прикладное искусство скорее всего все больше тяготеет над скульптуры малых форм.”

ნოდარ ბანძელაძე მშობლიურ სოფელ დერჩში მოძიებულ ქვებზე საინტერესოდ მოგვითხრობს თავის აფტობიოგრაფიულ ნარკვევში: „ქვებით დაზურგული საკუთარი ავტომანქანის საბარგული მებაჟეთა განცვიფრებასა და ირონიულ ღიმილს იწვევდა.

- რა არის ეს? - გაკვირვებული მექითხებოდნენ.

- ვერ ხედავთ ქვებია, - ვპასუხობდი მათ.

- რისთვის გჭირდება ისინი?! -

„ნასრედინი სამარყანდში“, „ნასრედინს არა აქვს სახლი“ და სხვა.

იუმორის ნაპერწკლებს აფრქვევენ და ერთმანეთს ალერსით ებაასებიან პერსონაჟები კომპოზიციაში „უზბეკები იცინიან“, რომელიც ძალზე შთამბეჭდავია სახეების მიმიკური გამომეტყველებით, სამოსელთა ინდივიდუალურობით, პოზებისა და ჟესტების განუმეორებლობით. ეს კომპოზიცია უნებურად გაგონებთ ნოდარ



ისევ მიძრუნებდნენ შეკითხვას.

- სხვადასხვა დანიშნულებისთვის, -
მოკლედ გპასუხობდი.

შეფიქრიანებული წესრიგის მუშაკები ყოველ შემთხვევისათვის თითო-ოროლა ქვას ჯიბეში მაღლულად იდებდნენ. ალბათ, ფიქრობდნენ, „ვინ იცის ჩვენც რაში გა-მოგვადებაო!...“

ასევე ბაქოში მგზავრობის ეპიზოდებს ნოდარ ბანძელადე თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვენში ყოველთვის იუმორით იხსენებდა. გულწრფელობა, გულლიაობა იყო ნოდარ ბანძელაბის სტიქია. მას უყვარდა უბრალო მეგობრული დამოკიდებულება. თავისთავთან მარტო დარჩენილი ხშირად მდეროდა თურმე.

სუმობით იხსენებდა მასსა და მის მეგობრებზე გადახდენილ სასაცილო ისტორიებს. როცა მის ნამუშევრებს ხოტბას ასხამდნენ მოქანდაკე ამ დროს ჩუმად იღიმებოდა მხოლოდ. მისი ცხოვრების ყოველი ეპიზოდი გახლდათ დამთავრებული ნოველა. ნოდარ ბანძელაძეზე ხშირად წერდნენ: „მე მგონია ნოდარ ბანძელაძისათვის ნაცნობი იყო ნასრედინი, რადგან ის ხშირად ესაუბრებოდა მას ქართულ ენაზე. რატომ ვფიქრობ ასე?! ალბათ, იმიტომ რომ მას უყვარს ხუმრობა, იუმორი, სატირა...“

„აკადემიაში ჩაბარებისას ჩარიცხულთა სიაში არ აღმოვჩნდი. ვიკითხე და მითხ-რეს, რომ პირველ რიგში იმ აბიტურიენტებს ვაკმაყოფილებთ, რომელთაც შრომითი სტაჟი აქვთ. იძულებული გავხდი თბილისის კერამიკის საამქროში მოვწყობილიყავი. ერთ დილით ახალგაზრდა თანამშრომელი გოგონა შემოვიდა საამქროში და მითხრა: „ტელეფონთან გთხოვენო!“. აკადემიიდან ჩემი მეგობარი დუხუ ქობალია მირეკავდა და ჩარიცხვას მიღოცავდა.

ბედნიერებისაგან ისე ავხტი, რომ თაროებზე დაწყობილმა 300 ცალმა კერამიკის დოქმა და საყვავილემ ჩემს თავზე ფრენა დაიწყეს. შევწუხდი. ცენტროსმა თოხაძემ მომილოცა აკადემიაში ჩარიცხვა და მითხვა: „წადი, ჩაიცვი და ბუღალტერთან საბოლოო ანგარიშისათვის მიდიო.“ ვფიქრობდი, მიყენებული ზარალის ანაზღაურება ჩემი თანხებით მომეხდინა. როცა ეს სურვილი ხმამადლა გამოვთქვი, თოხაძემ ღიმილით მითხვა: „დარჩეს ეს შენი აკადემიაში ჩარიცხვის აღსანიშნავადო. მთავარია იყო ნალით მოქანდაკე:“ 300 მანეთი გამომიწერეს, ლერთმა მიცვის კარგად ყოფნა იმ კეთილ ადამი-

РЕЗНОЙ ЧУПАНАТИНСКИЙ КАМЕНЬ

Когда б вы знали, из
какого сора
Растут стихи, не ведая
смысла
Как жалкий одуванчик
из лаборатории
Как зонуки и лебеди
Сердитый окрыл, летя
запах смеха,
Ташинстинская пасека...
на стече...

рзается. Сам процесс расстигивается. Наверное, в какой-то момент он чувствует прикосновение к себе. Года два назад был Чупанате. Там и увидал эти камни. Его на строительство нечаянно наняли. И там они нужды использовать. Что-то мне в нем поиздиралось первого взгляда — цвет, может быть. Взял в руки и понял, что из него можно что-нибудь сделать.



Б. ТИХОНОВ.
НА СНИМКАХ: работы скульптора «Пришла вода» и «Спящий мальчик».

ПАМЯТЬ О ПОЭТЕ

рзается. Сам процесс расстигивается. Наверное, в какой-то момент он чувствует прикосновение к себе. Года два назад был Чупанате. Там и увидал эти камни. Его на строительство нечаянно наняли. И там они нужды использовать. Что-то мне в нем поиздиралось первого взгляда — цвет, может быть. Взял в руки и понял, что из него можно что-нибудь сделать.



Б. ТИХОНОВ.
НА СНИМКАХ: работы скульптора «Пришла вода» и «Спящий мальчик».

27

Гог Алишера Навои



В ташкентском парке имени Ленинского комсомола полным ходом сооружается архитектурный комплекс, посвященный Алишеру Навою. Монтируется двадцатидвухметровая ротонда, в которой будет размещен бронзовый памятник поэту. Естественным украшением композиции станут фонтаны, цветники и музыкальное оформление.

Заказчик проекта, ориентировочная стоимость которого 8 миллионов рублей, — Ташгорисполком, генподрядчик — «Ташметрострой». Сооружение архитектурно-скульптурного ком-

плекса ведут министерства строительства, промстройматериала, тресты «Стальмонтаж», «Водоканал», «Мостострой», благоустройства и озеленения горисполкома.

Планируется расширить парк, придать ему статус национального. Осенью в дни празднования будет осуществлена лишь часть замысла: благоустроят десять гектаров, на подступах к парку разобьют бульвар.

НА СНИМКАХ: авторы скульптуры — самаркандцы В. Дегтярев, Н. Бандзеладзе, З. Алиев; идет монтаж ротонды.

Фото Л. ГУСЕИНОВА.

ანებს, ომელთა მადლი წევს ცხოვრებაში დღესაც ჩაუმქრალ გარსებრ ადგენებით ანათებენ.

გაირკვა, რომ მაშინდელ სამხატვრო აკადემიის რექტორს აპალონ ქუთათელაძეს თხოვნით მიუმართავს მოსკოვში კულტურის მინისტრ ფურცევასათვის, რათა გამორჩეული ნიჭით დაჯილდოვებულ აბიტურიენტებისათვის ყოველ ფაკულტეტზე დამატებით თითოე ადგილი დაეჭვათ. ამ გზით გავხდი აკადემიის სტუდენტი“ (გვ. 9-10).

მოქანდაკე ღუხუ ქობალიამ მოიგონა, რომ სტუდენტობისას ის და ნოდარ ბან-ძელაძე თუ როგორ იყვნენ გატაცებულნი ალპინიზმით: „60—იან წლებში ალპინისტთა სექციები ფუნქციონირებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და სამხატვრო აკადემიაში. ამ უკანასკნელში სექციას ხელმძღვანელობდა აკადემიის სტუდენტი მიტო დანგაძე, რომელიც შემდეგში სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო კლასის ოსტატი გახდა. აკადემიის სტუდენტობა სექციას ხუმრობით „მიტოს კლუბს“ ეძახდა...

„მოყვარული მთასვლელებ-
ბი თავდაპირველად ყაზბეგ-
ში მიგვყავდა, სადაც ხუროს
მწვერვალს იპყრობდნენ. იმ
დროს სჭირდა სატრანსპორტო
საშუალებები და თბილისიდან
ყაზბეგში ჩასვლას უფრო ად-
გილად ვახერხებდით. ნოდარ
ბანძელადე ჩვენი სექციის წევრი
იყო და ოოგორც მთიან სოფელ-
ში გაზრდილს, მუხლიც კარგად
უჭრიდა“ — იხსენებს ალპინ-
იზმის ფედერაციის მაშინდელი
წევრი მიტო დანგაძე, ოომელიც
აკადემიაში რამდენიმე წელი ხე-
ლმძღვანელობდა სექციას მისი
პირველი ფუძემდებლის ფაჩუა-
შვილის შემდეგ.

1990 წელს, გამოჩენილი უზბექი პოეტის, მოაზროვნის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიდი პუმანისტის ალიშერ ნავოის (ნიზამ ალ-დინ მირ ალიშერ), დაბადებიდან 550 წლის იუბილესთან დაკავშირებით ტაშკენტში გამართულ კონკურსში გამარჯვებულმა ჩვენმა თანამემამულემ და მისი თანამოსაქმეების „სამარყანდელი“ ჯგუფის წევრებმა: ეინულა ალიევმა, ვასილი დეგტიარევმა ტაშკენტის ცენტრალურ პარკში აღმართეს პოეტის 22-მეტრიანი მონუმენტი, რომელიც შადრევნის, ყვავილნარისა და მუსიკის ფონზე განუმეორებელ კომპოზიციას ქმნიდა. ბრძენკაცის ნათელ მზერაში იყითხებოდა მისი შემოქმედების მაღალი სულიერება. ქანდაკებაზე მუშაობისას სკულპტორი აღიერა ამბობდა: „ბანდელაძე ძეგლის – ბალავარია, დეგტიარევი – შენობის კარგასი, მე კი – ცალკეული მოსართავი მასალაო“. უზბექეთში „სამარყანდელებად“ მონათლულ ამ ჯგუფს ყელა ასე უწოდებდა.

აღნიშვნულ კონკურსთან დაკავშირებით მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე წერდა: „კონკურსის შესახებ „სამარყანდელთა ჯგუფმა“ შემთხვევით შევიტყვეთ. კერძოდ, უიურის გადაწყვეტილების ბოლო წუთებში. ამისდა მიუხედავად სამივემ გადავწყვიტეთ მიგვეღო მონაწილეობა. კონკურსში 46 პროექტი და მისი ავტორი იღებდა მონაწილეობას. უიურის შემადგენლობაში შედიოდა 40 პროფესორი მოქანდაკეთა, არქიტექტორთა და ინჟინერთა სახით. პირველსავე გასვლაზე ჩვენმა ნამუშევარმა მიიქცია ყურადღება,

Год Алишера Навои

На недавнем пресс-конференции, посвященной подготовке к празднованию 550-летнего юбилея Алишера Навои, было сообщено о начале сооружения ему памятника в ташкентском парке имени Ленинского комсомола. Его авторы — группа самарканских мастеров резца Алиев, Н. Бандзедзе и В. Дегтерев.

О конкурсе самаркандцы узнали случайно, буквально накануне заседания жюри. И все-таки решили попытать счастья: подготовили курсные модели и выехали в Ташкент.

участие многие известные
столичные скульпторы и
художники, свои произведения
представившие свою восприятие
образа великого поэта
мыслителя. Но коменю комиссии
остановились на модели
самарандаков — она более
других отвечала требованиям
конкурса. Хотя и замечания
были высказаны пред-
столично. Недоработки, впрочем,
вполне объяснимы, ибо
имели место в то время
Теперь же скульптура и
лучшим образом соответствует
необходимым поправкам
угодуйствует в образ.

сооружение архитектурно-скульптурного комплекса в парке — скульпторы, архитекторы, инженеры. Возглавил ее главный архитектор Ташкента Дильшод Вахидович Латипов.

гие.
Сложилась эта группа еще в 60-х годах. Эйнурла Алиев и Василий Дегтерев приехали в Самарканд после окончания Ташкентского театрально-художественного института, Нодар Бандзеладзе — Тбилисской художественной академии. Азербайджан

ПОБЕДА

воссемью колоннами — на них держатся большой бирюзовый купол. В ротонде — скульптура Алишера Навои с посохом и книгой в руках. С одной стороны ротонды спускается к воде в озеро, с другой — четыре небольших фонтана с зеркалами воды, аллеи, цветники. Самаркандские скульпторы предложили и концепцию будущему национальному парку — «Ашхабад», который станет как бы оправой для комплекса. Она предусматривает малые архитектурно-скульптурные формы, воспроизводящие героев произведений великого поэта. Работа эта, раненая на конкурсе, не получила приза, зато победитель конкурса хорошо известны в Республике — их художественные работы украсили многие села и города — Таинтек, Самарканд, Бухара, Карши и др. и языка, русского и грузинского объединило искусство, которого они одинаково предразумевали. Сложившийся триумфальный результат Аллен Борисович сравнивает со зданием «Бастиона» — фундаментом, Длестярем — каркасом строящегося здания, я, отдельочной матрицей». В принципе он точно подметил, кто в чем сильнее. Но художники не разграничили свою функцию, а работали вместе от начала до конца. Они могут спарить часами, горячо отстаивая каждую свою точку зрения, и только поздним вечером вдруг вспомнят, что забыли вымыть посуду, вымыть из кастрюль хлеба или скопить в агнету. Победа в конкурсе была для них легкой только на первые взгляд. Работали они там, закрывши двери в двух масленичных купальнях, что подлались за художников — народ суеверный. Разинки — разные члены семьи, друзья, родственники — народ суеверный. Разинки — разные члены семьи, друзья, родственники —

да наблюдать за работой. Три месяца, пока рабочая модель не была принята, не знали покоя. Так что побе-да выстрадана, оплачена неутомимостью, настойчиво-стью, вечной неудовлетворен-ностью, сделанным. Вер-они еще не раз порадуют нас плодами своего творче- ского вдохновения.

Соб. корр. «Правды Восто-
ка».
Самарканд.

НА СНИМКЕ: рабочая модель
памятника А. Навон.

ФОТО Д. МИХАИЛОВА

Photo A *Microscopic view of the same area as in Figure 1A, showing the presence of a large number of small, dark, electron-dense structures.*

Раамац ტაშқарбондис მოქანდაკეთა ხმაური გამოიწვია: „ნუთუ, უზბეკეთის დედაქალაქში აღარ მოიძებნება პროვინციელ მოქანდაკებზე უკეთესი სპეციალისტიო?! მათ განცხადებით მიმართეს უზბეკეთის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს. კონკურსი ხელმეორედ ჩატარდა. მასში მონაწილეობას დებულობდა უზბეკეთის პრეზიდენტი კარიმოვი. იგი ჩვენს ნამუშევართან გაჩერდა, ხელი დაადო და განაცხადა: „აი, ეს დამტკიცდება! დმერთით... და გაიღიმა“ (გვ.34).

ჩვენი ჯგუფი ამ გადაწყვეტილებამ კიდევ მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა. და, როგორც გაზეთ „პრავდა ვოსტოკას“ სპეციალური კორესპონდენტი ვ. კარიმოვი აღნიშნავდა: „თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილი ნოდარ ბანძელაძე 60-იან წლებში ჩამოვიდა სამარყანდში და მას შემდეგ მისი შემოქმედებითი ბედი დაუკავშირა უზბეკეთს. ის მეგობრებთან და თანამოსაქმეებთან - მოქანდაკეებთან ე. ალიევთან, ვ. დეგტიარევთან, ა. ჯიშიაშვილთან ერთად მონაწილეობდა ჩვენს სამშობლოში მთელ რიგ გამომსახველობითი ხელოვნების უმაღლეს დონეზე წარმოჩენისათვის.“

ისტორიულად ქართველთა მოძულე მტრის თემურ ლენგის სამშობლოში მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ, რაც შექმნა - უგელაფერი სიყვარულით გააკეთა.

„Я видел его с большим молотком в руке, когда ковалась отличная медь для гостиницы „Бухара“, я видел его в рубахе с засученными рукавами в его мастерской на Регистанской улице. Он знает, что такое бетон и металл.“




ქართველი მხატვრის ქანდაკებები უზბეკეთის გარდა ასევე დადგმულია მოსკოვში, ბელორუსიასა და თურქმენეთში. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მ. კაუმოვას პორტრეტი და ქანდაკება „წყალი მოვიდა“.

1966 წელს ნოდარ ბანძელაძე დაოჯახდა სამარყანდის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრულურზე ბულ როზა ხუბეცოვაზე. „დაოჯახებამდე სამშობლოში ჩამოვედი და ჩემი გულისნადები მშობლებს გავანდე, რომ ვაპირებდი ოსი ეროვნების ქალის მოყვანას. მამაჩემს ძალზე გაეხარდა და მითხრა: „ჩემი ოცნება იყო, რომ მყოლოდა ოსი ნაოესავები, რადგან ტყვარჩელის მაღაროში მუშაობისას მყავდა ერთი ოსი მეგობარი, რომელმაც სიკვდილისაგან მიხსნა“ ...

მეუღლემ ჩემი იმედები გამართდა და როგორც შემოქმედს, მომცა თავისუფალი სივრცე. მან ყველა საოჯახო საქმე და შვილების აღზრდა თავის თავზე აიღო.

„1967 წელს როზამ ვაჟი გია მაჩუქა. რამდენიმე წლის



შემდეგ ჩვენი ბედნიერება გახლდათ ულამაზე-სი ლალის ქვეყნად მოვლენა. დაბადებისთანავე გოგონას კუდუსუნთან სილურჯე დაჟყვა, რო-მელიც, როგორც გაირკვა, ჩემი მეუღლის ფეხ-მძიმების დროს დაცემამ გამოიწვია. გოგონას ფეხის ადგმა გაუჭირდა და ექიმს მივმართეთ. მან დაგვამშვიდა და წამლები გამოგვიწერა. ერთხანს პატარა ლალიმ მოიკეთა, მაგრამ სი-ლურჯე უფრო გადიდდა და ტკიფილიც დაეწყო. ადგილობრივმა ექიმებმა ლენინგრადში წასვლა გვირჩიეს. იქ კი გაგვიცხადეს, რომ გოგონას სიმსივნე ჰქონდა. თვალებში დამიბნელდა და ლამის წავიქეცი. იმ დღიდან თმები ერთბაშად გამითეთდა. პროფესორმა დაგვამშვიდა:

- „თქვენ ახალგაზრდები სართ და კიდევ გეყოლებათ შვილებიო“.

ერთ დღეს ლალიმ შემომჩივლა: - „მე-შინია... მე ავად ვარ მამა...“ თვეების განმაფ-ლობაში გოგონას სარეცელს არ მოვშორები-

ვართ. ეს იყო ჩვენს ცხოვრებაში ბედისაგან ყველაზე დიდი დარტყმა.


სამსახურში საერთოდ არ გამოვჩინილვარ. სიკვდილის წინ წვნიანი მოითხოვა. როცა ტუჩებთან კოვზით წვნიანი მიუტანეთ, მან პირი გააღო და გარდაიცვალა. სასაფ-ლაოზე მისი ბრინჯაოს ქანდაკება აღვმართე“ (გვ26-28).

ასეა, როგორც გოვთე ბრძანებდა: „მხატვარი გვჭირდება თვით უდიდესი ბედნიერ-ებისა და უდიდესი უბედურების წუთებშიც კი“.

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ მცირეწლოვანი შვილის დაკარგვით გამოწვეული პირადი განცდები მაღალი ოსტატობით შესრულებულ გოგონას პორტრეტში გამოხატა. ამჟამად, ხეზე შესრულებული ეს ნამუშევარი სამარყანდის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ნოდარ ბანძელაძეს მერე ქალ-ვაჟი გოჩა და ინა შეეძინა.

1987 წელს ნოდარ ბანძელაძეს 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით უზბეკეთის რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით „უზბეკეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ წოდება მიენიჭა. ამასთან იგი გაზეთ „პრავდა ვოსტოკას“ ქორესპონდენტის ვლადიმერ კარიმოვისა და მოქანდაკე ვასილ დეგტიარევის თანა-მონაწილეობით დაჯილდოვდნენ საგზურით. მთელი ივლისის თვის განმავლობაში მათ



ავტომანქანით მოიარეს ყაზახეთი, კუიბიშევი, მოლდავეთი, პენზა, მოსკოვი, ტულა, ვლადიკავკაზი, ქუთაისი, ბათუმი, თბილისი, ბაქო, აშხაბადი.

მოგზაურობისას ათვალიერებდნენ ღირსშესანიშნავ და ეგზოტიკურ ადგილებს, სწავლობდნენ ხალხის კულტურას, ზენ-ჩვეულებას. მარშრუტი სავსე იყო თავგადასავლებითა და იუმორით: „ერთ საღამოს სასტუმროში ადგილი ვერ ვიშოვეთ და დია ცის ქვეშ მოგვიხდა გათენება. დილით ქუჩაში შეგნიშნე ჭა და წყლის ასაღებად მივედი. უცებ, ქალის ყვირილი გაისმა:

- զին Թողհցատ Իյոլուս աղջենիս Սովոլենի՞ն?
 - մշշոնա, եշմրտոծդա և մՇցութագ գանցացրմց Իյոլուս ամռնենի՞ն. ամ դրու զասուլ դյցիուրայցմա դամուցուրա
 - ქմարո նախաետ թորենիս, զամուովուցուու.

ეს უკვე აღარ გავდა ხუმრობას. ყველანი ჩაგხტით მანქანაში და მოვუსვით. როცა, იმ ადგილს კარგა მანძილით გავშორდით და სული მოვითქმით. წყლის

გამო იძულებული გავხდით ისევ შევჩერებულიყავით. ამ დროს მიღიციის განყოფილება შევნიშნეთ, რომლის წინ ონკანიდან წყალი წვეთავდა.

- შეიძლება წყალი ავიღოთ? - მივმართე მილიციელს.
 - რა თქმა უნდა, - გაკვირვებულმა და ცოტა არ იყოს დაგჭვიბულმაც გვიპასუხა.

მის ირონიაზე იძულებული გავხდი ინცინდენტზე მეამბო. ახალგაზრდა მილი-ციონერი დაიბნა და გამართლება სცადა:

- ჩვენს ხალხს უყვარს ხუმრობა და ამიტომ უნდა გაუგოთო!

კარგი მაგარი ხუმრობა გამოუვიდა-თქმ, გავიფიქრე. საქართველოში, ომ უცნობს წყალი მოეთხოვა, განსაკუთრებით სოფელში - პირველად დვინით გაუმასპინძლდებოდნენ და შემდეგ კი წყალს მიართმევდნენ.

გეზი მოსკოვისაპერ ავილეთ, მაგრამ სამწუხაოოდ, დედაქალაქში არ შეგვიშვეს, რადგან მსოფლიო ოლიმპიადა ტარდებოდა... ჩამოვალწიეთ ორჯონიკიძეში, სადაც და-გათვალისწიეთ დიდი ქორელგრაფის პოსტა ხეთაგუროვის სახლ-მუზეუმი.

საქართველოში ყოფნისას ვეწვიეთ წყალტუბოს. ჩემს მშობლიურ სოფელ დერჩში, ვითევზავეთ, შევაგროვეთ სოკო... ორი დღის შემდეგ წავედით ბათუმში, მერე თბილისში, სადაც ორ-ორი დღე გატერდით. გზადაგზა გორში დავათვალიერეთ სტალინის მუზეუმი, ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება და თბილისის ხელოვნების მუზეუმი.

ბაქოდან აშენათ ში ჩაეწით. მოელი 600 კილომეტრი შდაბორში ვიარეთ. ტიალ

မინდორს ნაცრისფერი გადაჟეროდა და იმის მირაჟები გიჩნდებოდა, რომ მიწაზე კი არა, რადაც შორეულ პლანეტაზე მიცურავდა“ (გვ.39-42).

ჩვენი მოგზაურობის დღიური მთელი კვირის განმაფლობაში შუქდებოდა გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის ვ. ქარიმოვის მიერ ადგილობრივ გაზეთ „ლენინის გზის“ ფურცლებზე.



ქართველი ხელოვანის ქვაში, თიხაში, სპილენძსა და ბრინჯაოში შესრულებული ათეულობით ქანდაკება: მონუმენტური სკულპტურული ძეგლი, დაზგური ქანდაკების ნიმუშები, ისტორიულ პიროვნებათა პორტრეტული თავი თუ ტორსი შერწყმული იყო უზბეკი ხალხის ხასიათსა და სულიერებასთან.

და, ამიტომ ამბობდნენ მასზე: „Нодар любит Узбекистан, чувствует и тонко передает своеобразие народного характера.“

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძის ნამუშევრები, 1992 წელს, გერმანიაში გამოცემულ „მხატვართა საერთაშორისო ლექსიკონში“ შევიდა.

ნოდარ ბანძელაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ორ განზომილებაში მიედინებოდა, რომელიც ნათლადაა ასახული მის რუსულ ენაზე დაწერილ „ავტობიოგრაფიულ ნარკვეგში“. ერთი განზომილებაა მოქანდაკის მძიმე ფიზიკური შრომა, მეორე კი ოჯახსა და სამშობლოში დაბრუნებაზე მოძალებული ფიქრი და მონატრება. მასში გადმოცემული ეპიზოდები ახალ-ახალი შტრიხებით სრულყოფს სკულპტორის პორტრეტს.

დღეს, მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძის მხოლოდ ერთადერთი სკულპტურული პორტრეტია საქართველოში და მშობლიური სოფლის დერჩის სკოლის ეზოში დგას. ავტორმა იგი სამაგალითო თანასოფლელის აკადემიკოსს გიორგი ახვლედიანის ხსოვნას მიუძღვნა. მთელი კომპოზიცია გადაწყვეტილია ლაკონურად და სიმეტრიულად. მეცნიერის გარეგნულ სიმშვიდეში დიდი შინაგანი ძალა და სიბრძნეა აღბეჭდილი. ავტორმა ხელოვანის სულის სიცოცხლე და ბუმბერაზი მეცნიერის აზრის მოძრაობა ამ ძეგლში ერთმანეთთან ისე შეაწნა და შეასისხლხორ-





ცა, რომ იგი ორივე თანასოფლელის უკვდავების ძეგლად იქცა. სკულპტურული პორტრეტი ავტორმა სამარყანდიდან ჩამოიტანა.

სულ სხვა პიროვნება და გარდასახვაა გამოხატული სინამდვილეში გულდია, დიდი ადამიანური სითბოთი და იუმორით აღსაგსე, ქართული ტოლერანტობით გამორჩეული მოქანდაკის მიერ შექმნილ ავტოპორტრეტში. მასში იმდენად მძაფრია მიმიკური დახასიათება ხელოვანის გაორებული ფიზიკური მდგომარეობისა, რომ აშკარად იქმნება შეგრძნება ჰამლეტისეული „ყოფნა-არყოფნის“ ტრაგიზმსა და წარმავალი წამის შეჩერების წყურვილზე...

ნეტავ, ცხოვრებასა და შემოქმედებაში რის შეცვლაზე ოცნებობდა მოქანდაკე?! იქნებ, „სადაურსა სად წაიყვანზე“ – ითხოვდა პასუხს თავის ბედისაგან?!

ან იქნებ, ავტორის შთამაგონებელ და სევდიან სახეზე გავლებული დრმა ხაზების მიზეზი – სამშობლოს მიმართ მისი გადაუხდელი ვალის წუხილია ასახული?!...

ვინ იცის... ვინ იცის... ვინ იცის...

„Если меня спросили бы счастливый Вы человек, я ответил: - Да, могу с уверенностью сказать. Имею прекрасную жену, прекрасных детей, прекрасную сноху, отличного зятя, красивых внуков.

Добился признания народа - в изобразительном искусстве.

А не счастлив тем, что не жил на своей родине, и ещё тем, что оторван от своих

работ. Работа художника, это его детище тысяча раз облюбованное каждое произведение.

Когда я жил и работал в Самарканде тогда я не чувствовал, и даже не подозревал что так я буду скучать о своих творениях. Когда я приехал в Владикавказ жить, тогда я почувствовал внутреннюю пустоту, отсутствие своего духовного наследства.“

ნოდარ ბანძელაძემ სამშობლოში 26 წელი იცხოვრა. 37 წელი საქართველოს გარეთ, აქედან ყველაზე მეტი უზბეკეთში დაჟყო, მაგრამ სამშობლოს გრძნობა ყველგან თან ახლდა. თუმცა მისი სულიერი შემოქმედების მთელი ნაწილი სხვა ერს მიუძღვნა.


და, როგორც მიხაკო წერეთელი განმარტავდა:
„ერის წინაშე სამსახური თავისთავის წინაშე სამსახურია და ამასთანავე, შემოქმედება, შექმნა მომავლოსა.“

ჩანს, ამას გვიან მიხვდა...

,90—იანი წლების დროს ნოდარ ბანძელაძეს შემთხვევით რუსთაველზე „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კუთხესთან შევხვდი. ის სამხატვრო აკადემიიდან კიბეებით ჩამოდიოდა. დიდი ხნის უნახავი თანაკურსელები ერთმანეთის ხილვამ ძალზე გაგდახარა. ნოდარმა მიამბო, რომ „უზბეკეთში კარგად აეწყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. ბევრი შეკვეთები ჰქონდა. აწყობდა გამოფენებს ევროპასა და აზიაში...“ მაგრამ სამშობლოში დაბრუნება მაინც წყუროდა... ნოსტალგია სულ სხვა ყოფილაო, — ისეთი ტკივილით წარმოთქა, გეგონებოდათ, გულიც თან ამოაყოლაო. მას შემდეგ იგი ადარ მინახავს, — მოგვითხრო ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა რომა ცუხიშვილმა.

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძის გადაწყვეტილებაში თუ გრიგოლ რობაქიძის სი-
ტყვებს გავითვალისწინებთ, არაფერი იყო უცნაური, რადგან „ქართველები ატავიზმით
დააგადებული და ოდითგანვე საქუთარ მიწა-წყალზე მიჯაჭვული ერი ვართ“...

საბჭოთა ერების ძმურ ოჯახად ერთად ყოფნის ხუსულას დანგრევისა და ჩამოშლის შემდეგ ნოდარ ბანდელაძემ ოჯახთან ერთად უზბეკეთი დატოვა და 1995 წელს სამშობლოს მოაშურა, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არასტაბილური ვითარების გამო დროებით მეუღლის სამშობლოში შეჩერდა. ბარიერს მეუღლის ეთნიკური ოსობა უქმნიდა და ველარ გარისება.



ოსეთში მოქანდაკეს თითქმის თავიდან მოუხდა შემოქმედებითი საქმიანობის დაწყება. მიუხედავად წინააღმდეგობისა ნოდარ ბანძელაძემ მაინც შეძლო 1995 წელს ოსეთის სამხატვრო კავშირის მიერ მოწყობილ გამოფენაში მონაწილეობა. 1997 წელს კი ჩრდილოეთ ოსეთის დღეების დეკადაში, ომელიც მოსკოვში გაიმართა წარდგენილი იყო მისი 7 ნამუშევარი. ამას ზედ ემატებოდა ნართული ეპოსის ამსახველი ხუთი მცირეზომის ქანდაკება.

შეუძლებელია, არ შევეხოთ ნოდარ ბანძელაძის ავტობიოგრაფიულ ნარკვევს, ომელშიც მოქანდაკე თავის ლიტერატურულ გემოგნებას, აღღოს და ერუდიციას წარმოაჩენს. ყოველივე ეს კი მას საშუალებას აძლევდა ადვილად დაენახა ახალი, გაერჩია ყალბი და ორიგინალური ერთმანეთისაგან. და, ასევე განესხვავებია დრომოჭმული და აქტიური პროცესები.

ნარკვევის წერა ავტორს 1999 წელს დაუწყია, სადაც იგი მუხლს იდრეკს ჭეშმარიტი ხელოვნების წინაშე, ხოლო ხავსმოდებულს კი მტკიცედ უარყოფს. რამეთუ მოქანდაკე წინასწარ ჭვრეტდა და აანალიზებდა, რომ ხელოვნებაში სიყალბე ბოლომდე დროის გამოცდას მაინც ვერ გაუძლებდა და წარმავალ ხელოვნებად იქცეოდა.

ნოდარ ბანძელაძე საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობდა უზბეკეთში. მას გარკვეულ წილად უხდებოდა კონიუნქტურასთან შეგუება და ასე თუ ისე დამორჩილება, მაგრამ სიმართლის თქმას სტრიქონსა და სტრიქონს შორის, ქვეტექსტებით მაინც ახერხებდა სატირისა და იუმორისტული ტენდენციების გამოყენებით. რაც შეეხება, პარტიულ-ნომეკლატურულ მოხელეთა საქმიანობას, ეტყობოდა, რომ მას ნარკვევის ავტორი ახლოს იცნობდა. ალბათ, ამიტომაც ხელეწიფებოდა მათი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ნიუანსებისა და წვრილმანი დეტალების რეალურად აღწერა, რადგანაც კარგად იხედებოდა იმ სამყაროში, რითაც ისინი სულდგმულობდნენ.

ბუნებრივია, ეს კარგად გამოუდიოდა იმ ხელოვანს, ომელიც ქვაში, რეინაში, თიხასა თუ ხეში ადამიანთა განცდებს ერთი ხელისმოსმით ამეტყველებდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავტობიოგრაფიულმა ნარკვევმა კიდევ უფრო მეტი შტრიხებით შეავსო ხელოვანის პორტრეტი.

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძეს არავის შუქი არ მოუპარავს, არავის თანამგზავრი არ გამხდარა, საკუთარი ორბიტა ყველასაგან დამოუკიდებლად გაიჩინა და 30 წელი ანათა სხვის მიწაზე...

საბოლოოდ, სამშობლოში მომავალი ხელოვანი, 2000 წელს, დარიალის ხეობაში ტრაგიკულად დაიღუპა. მაგრამ, როგორც შემოქმედი უკვდავი დარჩა, რამეთუ შემოქმედება ხომ თავისთავად ნიშნავს სიკვდილის მოკვლას...

ასე რომ, დღეს, მარადისობაში გადასული ნოდარ ბანძელაძე და მისი დერჩის ქვების დადადისი კვლავ და კვლავ განაგრძობენ სიცოცხლესა და უკვდავყოფენ ხელოვანს.

ქართის ები პორტრეტისათვის

ქ უა აზიაში ტურისტული მოგზაურობისას უზბეკეთის უძველეს ქალაქებში ბუხარა, სამარყანდსა და ტაშკენტში ჩემი ყურადღება მონუმენტურმა ნამუშევრებმა მიიქცია... ქანდაკებები დეტალების სიუხვით არ გამოირჩეოდა... ხელოვანი გამომსახველობისათვის მხოლოდ იმ მინიმუმს გვთავაზობდა, რაც სჭირდებოდა სათქმელის გადმოსაცემად, მაგრამ მისი ყოველი ნიუანსი იმდენად ტევადი გახლდათ, რომ სისავსის შეგრძნებას უჩენდა მნახველს...

ჩემდა გასაოცრად, ავტორი ქართველი მოქანდაკე აღმოჩნდა...

ნოდარ ბანძელაძის ძებნა დავიწყე... იგი წყალტუბოსა და მის ზონაში შემავალ სოფელ დერჩიდან აღმოჩნდა...

და, ორი წლის შემდეგ, ქვლავ დავადექი სამარყანდის გზას, ზუსტი მისამართითა და დერჩის სკოლის დირექტორის გელა კაკიტაძის წერილით...

იდგა საბედისწერო დეკემბრის ბოლო დღეები... სამარყანდში, ქალაქის ცენტრში, ოქტომბრის ქუჩის 144 ნომერს ადვილად მივაგენი... რვასართულიანი სახლის მეხუთე სართულზე №52 ბინა მოვიძიე... ზარის ხმის დუმილმა, ხანგრძლივმა დუმილმა ჩემი რესპონდენტის არყოფნა მაცნო...

იმავე სართულზე მეზობელს საშველად მივმართე, კარი უზბეკმა მამაკაცმა გამიღო. გავეცანი და უცებ ისეთი გარდასახვა მოხდა, რომ უნებურად ნოდარ ბანძელაძის ფიგურები „უზბეკები იცინიან“ დამიღვა თვალწინ...

ადამიანები ძალიან ხშირად პირობითად იცინიან, მაგრამ ქანდაკებისა და ჩემს წინ მდგომ მასპინძლის თვალები და ბაგები ერთ განცდას გადმოცემდნენ...

მამაკაცმა მშობლიურ ენაზე ოჯახის დანარჩენ წევრებს მოუხმო და ისინი კართა



მოსვლისას დიდი ხნის უნახავი ნათესავივით გადამეხვივნენ... ოთახში ციმციმ შემიპატიუეს...

ამ სიტუაციაში თავი შინაურულად ვიგრძენი, რადგან ისეთი სიყვარული, სითბო, უშუალობა და გულწრფელობა გამოსჭვიოდა მასპინძელთა მიხვრა-მოხვრაში, რომ ბარიერი ჩვენს შორის მაშინვე გაქრა...

ეს იყო ქართული სტუმართ-მასპინძლობის ტიპიური ნიმუში. კარიმოვები რძის კომბინატის მუშები აღმოჩნდნენ...

აშკარა იყო, რომ ნოდარ ბანძელაძე არ ეტანებოდა მრისხანე და ფუფუნებით გაზულუქებულ პარტიულ ბიუროერატებთან მეგობრობასა და მათ გარემოცვას. იგი ეტყობოდა შეჩევული იყო სხვადასხვა ეროვნების მეგობრებს და თავისუფალ, უბრალო ადამიანებს, რომლებიც არც კეკლუცობაზე ფიქრობდნენ და არც ნიღბის ტარებით იყვნენ დაკავებულნი. მოქანდაკეს ყველაზე მეტად ნამდვილი ადამიანი სჭირდებოდა, რადგან ხელოვანისათვის მთავარი იყო რეალიზმი...

დღესაც არ მავიწყდება უზბეკი მასპინძლის გულწრფელი სიტყვები: „ნოდარი ნამდვილი ჯიგიტია... მისი თანამემამულე ჩემი სტუმარიცაა, რადგან ჩვენი ლუკმა განუყოფელია...“

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ნოდარ ბანძელაძის მეულლე ქნი როზა და მისი ულამაზესი 16 წლის ქალიშვილი ინა შემოგვიერთდა. მათგან შევიტყვე, რომ მოქანდაკე გერმანიაში, ლაიფციგში „მხატვართა საერთაშორისო ლექსიკონის“ პრეზენტაციაზე გახლდათ მიწვეული.

უზბეკ მასპინძლებს გვიან საღამოს ძლივს დავეხსენით...

შუალამემდე საუბარს შევყევით. ქალბატონ როზა ხუბეცოვას მაშინდელ ორჯონიერის ქართულ სკოლაში უსწავლია, რამდენადაც მაგონდება ბებიითაც ქართველი ყოფილა... მათი უფროსი ვაჟები დაოჯახებულნი იყვნენ და პატარა ბანძელაძეებს ზრდიდნენ...

მრავალსულიანი ოჯახი უკვე აპირებდა საქართველოში გადმოსვლას. ძირითადი ნივთები თითქმის ჩალაგებული ჰქონდათ. ნოდარი თურმე მწვავედ განიცდიდა სამშობლოში მიმდინარე ძმათა მეკლელ პროცესებს...

— „მოელ დამეებს ბორგვაში ატარებს... მისი ბალიში ასეთი სველი პირველი გოგონას დაღუპვის დროსაც არ მინახავს... სამშობლო მიხმობსო მეუბნება... ამქვეყნად ვერაფერმა შეცვალა მისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, რომლისკენაც მუდამ ისწრაფვის...“

აშკარაა, ნოდარ ბანძელაძე სულიერ მარტოობას განიცდიდა უცხო მიწაზე... თუ ადრე ნოსტალგიისაგან თავის დასაცავად და არყოფნასთან შესაბრძოლებლად ხელოვნება იყო მისი თავშესაფარი, ამჟამად, სულში გაორმაგებული ტკივილი ჰქონდა

მხოლოდ ჩაბუდებული და უსამშობლოდ ორად გახლებილი პიროვნება მეტს გეღარ უძლებდა...

... და, ახლა, როცა უკვე არსებობდა მიზეზი და სამშობლოსაკენ მიმავალი გზა, ამიტომაც უკან დახევას აღარ აპირებდა...

საქალაქთაშორისო ზარმა ჩვენი საუბარი შეწყვიტა... ნოდარმა, როცა ჩემი ჩამოსფლის მიზეზი გაიგო, აღელვებულმა მაშინვე მკითხა: - „ეს, რა ხდება თბილისში?... იქნებ, სიმართლე თქვენ მაინც გამაგებინოთ... „მსოფლიო მხატვართა ლექსიკონის“ წარდგენა ორ დღეში დაიხურება... თუ მოვახერხე დილითაც გადმოვფრინდები...“

ვერ გავუპირდი... „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, - ილიას თქმისა არ იყოს, ორივე მხარეს საქართველოს ბედერული შვილები იდგნენ და ამიტომაც დიალოგი სამერმისოდ გადავუდევი... თან ჩემი თვითმფრინავის რეისიც გაურკვეველი იყო, რადგან თბილისში ზეცა იწვოდა და ფრენებიც თითქმის გაუქმებული იყო...

მას შემდეგ, მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძისა და მათი ოჯახის ამბავი სულ მაწუხებდა... პირად არქივში სასოებით ვინახავდი მისი ნამუშევრების ფოტოებს, რომელიც ქალბატონმა როზამ წამოსვლისას გადმომცა...

და, დღეს, არშემდგარი დიალოგისა და სამარყანდში სტუმრობის ამბავის შტრიხებით ვეცადე შემევსო მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძის პორტრეტი, რომელიც ყველგან დიდი დირსებით ატარებდა ქართველი კაცის სახელს.

იგი, მართლაც „სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი“...

ლალი თალა კაძე,
ეურნალისუტი.



თითო უკლი ადამიანის ისტორია ქართვის ისტორიაა

ქართული კულტურის ნაკვალევის ძებნა და კვლევა, გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა შენახვის საქმეცაა და ქვეყნიში მიმდინარე საგანმანთლებლო პროცესებში მონაწილეობაც.

20-ესაუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებს თან ახლაցს სერიოზული სიძნელეები, რაც სოციო-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით ცალკე კვლევის საგანია, სადაც უმთავრესი როლი ადამიანს და პიროვნებას უჭირავს. პირადი წერილები, ბიოგრაფიული მასალები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა საშუალებას იძლევა ამა თუ იმ ადამიანის შემოქმედებითი ფაქტების მიღმა დავინახოთ ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენები და შედეგები.

თითოეული ადამიანის ისტორია ეპოქის ისტორიაცაა, ფრაგმენტულად მოთხოვობილი ინდივიდუალური ამბები ქვეყნის ერთიან სურათს ქმნის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერთიანი თხოვობის გადმოცემაში.

„ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის დონეს, თვისის სულის ბერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის დვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უდელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია“ (ი. ჭავჭავაძე 1997:56).

ნოდარ ბანძელაძის ცხოვრება და შემოქმედება ძალიან ჰგავს ქვეყნის ისტორიასაც, ეპოქისეული მოვლენებით გამოწვეული იძულებითი ემიგრაცია შემოქმედმა უზბეკეთში გაატარა, თავისი შემოქმედებითი ცხოვრება უცხო ერის სამსახურში გალია და ისტორიულ პროცესებში მიიღო მონაწილეობა. შემოქმედის მიერ სხვადასხვა მასალასა და მედიუმში შესრულებული ათეულობით ნამუშევარი - მონუმენტურ-სკულპტურული ძეგლი, ქანდაკება, ბარელიეფი, ისტორიულ

პიროვნებათა პორტრეტული თავი თუ კომპოზიციები შერწყმული იყო უზბეკი ხალხის ისტორიასა და კულტურასთან.

ადამიანთა ისტორიების ეპოქალური მსგავსებები, განსაკუთრებით საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ფანჯრებში ჩანს მკაფიოდ. მარიამ მარჯანიშვილის ნაშრომები, წერილები და მონოგრაფიები კიდევ ერთი ნაწილია ქვეყნის ისტორიის ერთიანი სურათის შედგენისა.

მარიამ მარჯანიშვილის მონოგრაფიის „დერჩის ქვების დადადისი“ მასალა აუცილებლად დაგვაფიქრებს ქართული სინამდვილის გასააზრებლად და თანამედროვე კულტურული ცხოვრებისა და კულტურის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, როდესაც ისტორიული დოკუმენტების, ბიოგრაფიული ცნობების, პირადი წერილების, ჩანახატების, ფოტოების გაცნობისას მკვლევარი ყველაზე ახლოს მიდის შემეცნების სუბიექტთან.

ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა საშური საქმეა, სხვა ეპოქებთან შედარებით მრავალმხრივ საინტერესოა მეოცე საუკუნის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ამ პერიოდში სხვადასხვა საბაბით გასული ადამიანები.

ნინო სანადირაძე.

ნინო სანადირაძე
ნინო სანადირაძე



რიონის ნაპირებზე შორეულ უწესეთაძეე

პრიან ადამიანები, რომელთა შემოქმედება და სულიერი მდგომარეობა განსაკუთრებულ პირობებში ყალიბდება. მართალია ხელოვნებას საზღვრები არ გააჩნია და აქედან გამომდინარე არც ფიზიკურ მდგომარეობას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ ხელოვნებას სხვა დატვირთვა გააჩნია.

ძნელია, როდესაც ხელოვანს საკუთარ ფესვებს მოწყვეტილს, უცხო მხარეში, უცხო კულტურულ გარემოში მოხვედრილს უხდება მოდგაწეობა და მით უფრო თუ ეს მოდგაწეობა მთელი ცხოვრება გრძელდება.

მსოფლიომ იცის მაგალითები, როდესაც გამოჩენილი მხატვრები, მოქანდაკეები, მწერლები, პოეტები თუ მუსიკოსები ერთი ან ორი წლით კი არა, მთელი ცხოვრებით ტოვებდნენ სამშობლოს. რადა შორს წავიდეთ და ჩვენი სახელოვანი პოეტი დავით გურამიშვილიც გამოგვადგება ზემოთქმულის დასტურად.

მეოცე საუკუნის ცნობილმა ქართველმა ხელოვანმა, მოქანდაკემ ნოდარ ბანძელაძემ იგივე გზა განვლო, რიონის ნაპირებიდან შორეულ უზბეკეთამდე... მისი ხელოვნება სამუდამოდ შეისისხლ ხორცა ამქვეყანამ და მის განუყოფელ ნაწილად იქცა. ქართული სულისკვეთებითა და ტემპერამენტით გამსჭვალული ნამუშევრები სამუდამოდ დარჩება უზბეკეთის ხელოვნების ოქროს საგანძურში.

როდესაც თვალს ავლებ ნოდარ ბანძელაძის შემოქმედებას, ნათლად დაინახავ ნიჭისა და შრომისმოყვარეობის სინთეზს. ნიჭი დვთითბოძებული მადლია, რაც უხვად დაებერტყა ხელოვანს. შრომისმოყვარეობა კი პიროვნების საუკეთესო თვისებაა.

არაჩვეულებრივი ხასიათებით გამოირჩევა ბატონი ნოდარის ქმნილებები. ყველა მათგანი უზბეკური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ეს ეხება როგორც მონუმენტურ, ისე მცირე ზომის ქმნილებებს. საოცარი დახვეწილობითა და ფორმათა სრულყოფილი უტრიორებით გამოირჩევა ყოველი მათგანი. ისიც ნათლად ჩანს, რომ ფორმათა სტილიზაცია მყარ აკადემიურ საფუძველზეა დაშენებული.

ნოდარ ბანძელაძის შემოქმედება იმთავითვე ორგანულად მიიღო უზბეკურმა ხელოვნებამ. მიიღო და შეისისხლხორცა. ამავე დროს სათანადოდ დააფასა და ღირსეული ადგილიც მიუჩინა თავისი კულტურის საგანძურში.

დასანანია, რომ ნოდარ ბანძელაძის ნიჭი გარკვეულწილად დააკლდა ქართულ კულტურას, მაგრამ ვინაიდან ხელოვნება ურთიერთობის საერთაშორისო ენაა და მას საზღვრები არ გააჩნია, სწორედაც რომ უზბეკეთს გაუმართლა.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, დავტკბეთ ნოდარ ბანძელაძის უაღრესი ნიჭიერებით აღსავსე ხელოვნებით.

ვითოვ ვართავავა,
მხატვარ-ვრავიკოსი



SUMMARY

MARIAM MARJANISHVILI
Doctor of Philology

THE PLEA OF DERCHI STONES

“Since the time immemorial, the village of Derch has had a distinctive place in this part of Lechkhumi, which is referred to as “an ascend”. Academician Giorgi Akhvlediani said about his native village: “Derch is a pearl in the bosom of Lechkhumi”.

Nodar Bandzeladze was born in this village. He enrolled in Tbilisi Arts Academy in 1957, in Kote Merabishvili's class. On competition, he was forced to leave his country and become an immigrant, that's why the Georgian society is not familiar with his creativity as he only lived in his native country for 26 years, while outside his homeland – he spent 37 years. Most of this time he lived in Uzbekistan, but he felt his country wherever he was. However, he dedicated most part of his spiritual creative work to a different nation.

A 15-year-old Nodar Bandzeladze learnt the traditions of national arts in 1952, in Tbilisi I. Nikoladze Arts school. Its roots came from the epic historic myths and tales. Soon, the gifted youth was awarded the scholarship of the founder of the school. His diploma paper – “Thirst” – attracted immediate attention with its expression of his subtle feelings.

Tens of his works on stone, clay, copper and bronze – sculptures, statues, bas-relief, busts, portraits of historical persons or nude torsos – were combined with the character and spirit of Uzbek people.

Ten years later, N. Bandzeladze's first composition – “Destruction of Basmaches” – made a doctor of arts studies say: “By the full dynamics of creative maturity, this work has proved the great talent of its author”.


Besides monumental sculptures, he also created small statues. His two works were bought by the Museum of Oriental Culture in Moscow, and three works were bought by the Tretyakov Gallery. Today, about 30 small statues by N. Bandzeladze are preserved in Tashkent Art Museum, and about 20 are kept in Samarkand Art Historical Museum. Similar statues are preserved in museums in Latvia.


In general, Nodar Bandzeladze created the collection of up to 400 small statues and busts.



Скульптура
Sculpture

Джабро Азимов





















































ა კადემი ქოსი გიორგი ანტონ გვიანი
სოფელი დეკხი



დაიბაზი:

გამომცემლობა „მერიდიანი”,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com



ქარიაშვილი ანიშვილი - ფილოლოგის დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის განათლებისა და ახალი ისტორიის განყოფილების მეცნიერთანამდებლი.

2015 წლიდან ქუთაისის აკავი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ აბალობელის სახელობის ამერიკის შესწოვლის ცენტრის საზაფხულო სკოლის დექტორი.

სამეცნიერო საზოგადოებრივის წევრობა:
2007-2009 წლებში – „ააპ სამეცნიერო გაერთიანების“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2015 წლიდან – მუზეუმებისა და მუზეუმების პროფესიონალების საერთაშორისო ორგანიზაციის – ICOM-ის წევრი.

2015 წლიდან – საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრი.

2017 წლიდან – საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

2019 წლიდან – გამარჯვებული „უქიმერიონის“ რედაციების წევრი.

სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროები: XIX-XX ს. ქართული ინტელიგენციის კულტურული იერ-სახე, ფემინიზმი და გენდერი, ქართული დემოკრატია, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში.

ძირითადი ნაშრობები:

- „ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში“ (2008);
- „მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი“ (2011);
- „ლეო ჰეივილი – არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი“ (2013);
- „ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი“ (2014);
- „განესა – ქართველი ემიგრანტი“ (2016).

117 სამეცნიერო ნაშრობის ავტორი, მათ შორის 107 ნაშრომი გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. ასევე სამი სამეცნიერო კრებულისა და მხატვრული ლიტერატურული ნაწარმობის რედაქტორი, დაწერილი აქვს არაერთი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი და რეცენზია ქართველი ავტორების წიგნებში და პრობაულ თუ პოეტურ ტექსტებში.

ლიტერატურული კრიტიკული საბის ბამარკვებული:

1. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის ლიტერატურული კონკურსი – „ქალა ჰუნანიშმისა“ (თბილისი, 2000);
2. თსუ-ს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) კონკურსი – „ქართველ ემიგრანტთა ლიტერატურული მოღვაწეობა“ (თბილისი, 2013);
3. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს პირველი საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი – „ემიგრანტის წერილი – 2014“ (თბილისი, 2015).
4. ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო გაერთიანების საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი – „ემიგრანტის წერილი 2016“ (თბილისი, 2016).
5. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ესეების კონკურსი – „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი“ (თბილისი, 2018).

პროექტები:

1. „INTERNATIONAL EDUCATION WEEK 2006“ – ინტეგრაციის თემაზე (2006).
2. გაეროს ქალთა ფონდი UNIFEM-ის, ქალთა საინფორმაციო ცენტრის WIC-ის და ფონდი „ტასოს“ პროექტი „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ (2010).

სამეცნიერო კრონექტები:

1. ფონდ „დია საზოგადოება საქართველოს პროექტების მონაწილე: „ქართული დემოკრატია: მითი თუ რეალობა“ (2010);
2. ფონდ „დია საზოგადოება საქართველოს პროექტების მონაწილე: „განამანათლებლობა საქართველოში: იდეები და აქტორები“ (2014).
3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი „იმერეთის სოციო-ლინგვისტური სურათი XIX საუკუნის 80-90-იანი და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისის პრესაში“ (2017).



9 789941 340116